

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

_____ იანვარი, 2020 წელი

ქალაქი ბათუმი


ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების
მართვის დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე “ტექნიკური დავალების
მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კო-
დექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ (შეთანხმებულ) იქნეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე” ტექნიკური დავალება, დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, უზრუნველყოს კონკურსის ჩატარება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

საკონკურსო დოკუმენტაცია

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე

ქ. ბათუმი
23.01.2020

წინამდებარე დოკუმენტაცია წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების საკონსულტაციო და საპროექტო მომსახურების კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო დოკუმენტაციას.



შინაარსი

1.	საერთო ნაწილი	6
1.1.	ძირითადი ტერმინები და შემოკლებები	6
1.1.1.	ტერმინთა განმარტება	6
1.1.2.	შემოკლებათა ახსნა	9
1.2.	ბიბლიოგრაფია	11
1.2.1.	საფუძველმდებარე დოკუმენტები	11
1.2.2.	დაგეგმვის სახელმძღვანელო დოკუმენტები	12
1.2.3.	დამოწმებული წყაროები	13
1.3.	ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის	15
2.	საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი ..	17
2.1.	საერთო მითითებები	17
2.2.	დაგეგმვის გუნდი	17
2.2.1.	იურიდიულ პირთა მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები	18
2.2.2.	ფიზიკურ პირთა - სპეციალისტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები	19
3.	საკონკურსო წინადადების საკვალიფიკაციო და ხარისხის შეფასების მოთხოვნები ...	23
3.1.	ტექნიკური დოკუმენტაცია:	23
3.1.1.	ზოგადი სტრუქტურა	23
3.1.2.	აუცილებელი მოთხოვნები	23
3.2.	საკონკურსო წინადადების ტექნიკური დოკუმენტაციის ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრით წონები	24
3.3.	ტექნიკური დოკუმენტაციის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრით წონები	24
3.3.1.	კრიტერიუმები	24
3.4.	ხვედრითი წონები	25
4.	ხელშეკრულება (პროექტი)	27
5.	ტექნიკური პირობები	33
5.1.	აღწერა	33
5.2.	დაგეგმვის პროცესის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები	33
5.2.1.	დაგეგმვის ტიპები და იერარქია	34
5.2.2.	საპროექტო მომსახურების მიზანი, შესამუშავებელი დოკუმენტები და მათი ურთიერთმიმართება	35



5.2.3.	საერთო მითითებები სამუშაოების წარმართვისთვის	36
5.2.4.	ანგარიშების წარდგენის ფორმა და მახასიათებლები	40
5.3.	დაგეგმვის საჭიროება	42
5.3.1.	დაგეგმვაზე უფლებამოსილი უწყებები, ფიზიკური და იურიდიული პირები .	42
5.3.2.	დაინტერესებული იურიდიული და ფიზიკური პირები	43
5.3.3.	ზოგადი მონაცემები და სამართლებრივი წინაპირობები.....	43
5.3.4.	განვითარების რეტროსპექტივა	43
5.3.5.	ბათუმის და მისი ცალკეული ნაწილების სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმვის არსებული დოკუმენტაცია და დარგობრივი პროექტები/პროგრამები.....	43
5.3.6.	ქალაქის ფუნქციის დივერსიფიკაციის საჭიროება	45
5.4.	დავალება გეგმების შემუშავების თაობაზე	45
5.4.1.	გეგმარებითი ერთეულები.....	46
5.4.2.	გეგმარებითი ერთეულის კვლევის შედეგები.....	49
5.4.3.	ხედვა, სტრატეგია, სიცოცხლისუნარიანობა.....	57
5.4.4.	კონცეფციები (გეგმების მონახაზები)	59
5.4.5.	გეგმები	62
5.4.6.	დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა.....	62
5.5.	საპროექტო მომსახურების ვადა	63
5.5.1.	კალენდარული გრაფიკი	63
6.	დანართები.....	66



ილუსტრაციების ნუსხა

ცხრილი 1. საკვალიფიკაციო მოთხოვნების მატრიცა 1.....	19
ცხრილი 2. საკვალიფიკაციო მოთხოვნების მატრიცა 2.....	22
ცხრილი 3. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის იერარქია და ურთიერთმიმართება.....	34
ცხრილი 4. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია.....	44
ცხრილი 5. დარგობრივი დოკუმენტები.....	44
ცხრილი 6. სტრატეგიული დოკუმენტები	45
ცხრილი 7. ძალადაკარგული დოკუმენტები	45
ცხრილი 8. თემატური რუკების მატრიცა	53
ცხრილი 9. ფუნქციის დივერსიფიკაციის კვლევის შემადგენლობა და მოთხოვნები.....	55
ცხრილი 10. საკანონმდებლო ბაზის კვლევის მატრიცა.....	56
ცხრილი 11. კადასტრის შედგენის კვლევის მატრიცა	57
ცხრილი 12. სტრატეგიის განაცხადის მატრიცა ზედა ტაქსონომიური დონისთვის.	58
ცხრილი 13. სტრატეგიის განაცხადი ქვედა ტაქსონომიური დონისთვის.	59
ცხრილი 14. მომსახურების მიწოდების ვადების კალენდარული გრაფიკის და სხვა პირობების სინთეზური ცხრილი.....	65

სურათი 1. სიტუაციური რუკა - ბათუმი აჭარის ა. რ. და საქართველოს კონტექსტში. (რეფ.#14).....	46
სურათი 2. მოსახლეობის სიმჭიდროვის რუკა. აჭარის სივრცითი მოწყობის სქემიდან.....	47
სურათი 3. ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრები. ბათუმის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმიდან. (რეფ.#14).....	48
სურათი 4. ქ. ბათუმის ადმინისტრაციული საზღვარი 2009 წ მდგომარეობით.	49
სურათი 5. ინდიკატორები ინფორმაციული ნაკადების პირამიდაში. დიაგრამა. (10)	53



საკონკურსო დოკუმენტაცია

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და
განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე

წ ი ნ ა თ ქ მ ა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით განვითარებასა და განაშენიანების მართვაში რესპუბლიკის,¹ მუნიციპალური, თუ კერძო პირების² ინტერესების მაქსიმალურად დაახლოვებისა და შეჯერებისთვის, როგორც საერთო განვითარების ხედვასა და სტრატეგიაში, ისე მათ მიერ დაგევმილი თუ მიმდინარე ცალკეული ღონისძიებების ურთიერთ-თავსებადობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2019 წლის 3 ივნისს ძალაში შევიდა, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ (შემდეგომ კოდექსი) და მასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიცირებით დაწყებულია სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების, მათ შორის მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების ახალ გარემოებებთან თავსებადობის უზრუნველყოფის პროცედურა და გამომდინარე აქედან, საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით, შემუშავებულ იქნა წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაცია, მასზე თანდართული დოკუმენტებით.

კომპლექსური საკონკურსო დოკუმენტაციის შემუშავება განპირობებულია ერთის მხრივ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალაქგანვითარების მიმდინარე გამოწვევებითა და საქართველოში სივრცით მოწყობასა და ქალაქთმშენებლობით დაგეგმვაში, ასევე სათანადო გეგმების მომზადების არასაკმარისი გამოცდილებით.³

სამუშაოები შესრულებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის კოორდინირებით, მოწვეული ექსპერტის დახმარებით, საქართველოში სივრცითი დაგეგმვისა და მშენებლობის სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობით. ქ. ბათუმის ფუნქციის დივრსიფიკაციის სტრატეგიის შემუშავების მოთხოვნები, მომზადებულია მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის სტრატეგიული დაგეგმვის, საინვესტიციო და ეკონომიკური განვითარების განყოფილების მიერ, ხოლო ხელშეკრულების პროექტი – შესყიდვების სამსახურის მიერ.

მადლობას ვუხდით ყველა მონაწილეს!

¹ იგულისხმება როგორც მთლიანად საქართველო, ისე ცალკე აღებული აჭარის ა. რ.

² იგულისხმება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები და სხვა გაერთიანებები.

³ კოდექსით დადგენილი მოთხოვნების სიახლის გათვალისწინებით.



1. საერთო ნაწილი

1.1. ძირითადი ტერმინები და შემოკლებები

1.1.1. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ საქართველოს კანონმდებლობაში განმარტებული/გამოყენებული მნიშვნელობები, დამატებით გამოიყენება ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები:

- (1) **აეროფოტო** — საპარო გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;
- (2) **დაგეგმვება** — პროექტირება, რომლის დროსაც, სივრცითი განვითარების და/ან განაშენიანების მართვის დაგეგმვის საფუძველზე, ხორციელდება ტერიტორიების ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის ფორმირების ამოცანების გადაწყვეტა და შესაბამისი ტაქსონომიური დონის დოკუმენტაციის მომზადება;
- (3) **დენდროლოგია** — მერქნიანი მცენარეების შესწავლა, ტაქსონომია და აღნუსხვა, მათი სარგებლიანობის და გამოყენების საჭიროების დადგენის მიზნით;
- (4) **დრონი** — ახლო მანძილის დისტანციური ზონდირებისთვის განკუთვნილი საფრენი მოწყობილობა;
- (5) **ესთეტიკური წყობა** — შენობა-ნაგებობის ესთეტიკური პარამეტრებისა და მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც დგინდება განაშენიანების მართვის რეგლამენტით, განვითარების ხედვის შესაბამისად;
- (6) **ფოზუალზარი** — დაგეგმილი თუ დაგეგმარებული წარმოსახვითი ფიზიკური გარემოს სხვადასხვა კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით შექმნილი გრაფიკული გამოსახულება (სურათი, დიაგრამა და/ან ანიმაცია);
- (7) **ზედა ტაქსონომიური დონე** — სივრცითი დაგეგმვის მაკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც აღწერს უფრო მეტად აბსტრაქტული ხასიათის მონაცემებს და მათ კორელაციებს; სადაც საერთო მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი კონცენტრირებულია უფრო მეტად ფართო, მთლიან სისტემაზე;
- (8) **კომიუტერი** — ადამიანი, რომელიც რეგულარულად გადაადგილდება საცხოვრებელი ადგილიდან დასახლებათშორის მანძილზე დაშორებული სამუშაოს/სასწავლებლის მიმართულებით. როგორც წესი 1 დღე-დამის ინტერვალით;
- (9) **კოსმოფოტო** — სატელიტური გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;
- (10) **ლიდარი**⁴ — მიწისზედა გამოყენებითი ფოტო-გრამმეტრიული მეთოდი, რომლისა საშუალებითაც გაიზომება მანძილი ობიექტების დაგეგმვის მიზნების სხივის მინათებით;
- (11) **ლიმიტაცია** — გარემო ფაქტორების ერთობლიობა, რომლებმაც დაგეგმვის მიზნების ფორმირებისას ინტერესთა შეჯერების პროცესი შეზღუდეს ან შეუძლებელი გახადეს;
- (12) **მასშტაბი** — ფიზიკურ გარემოში გაზომილი სხეულების გამოხატვის/გამოხაზვის დროს შემცირების ზომა. ასევე, რუკაზე, გეგმაზე ან სქემაზე მოცემული ხაზების სიგრძის შეფარდება ამ ხაზით გამოხატულ ნამდვილ სიგრძესთან. მასშტაბი სამი სახისაა: რიცხვითი, ხაზოვანი და სიტყვიერი;
- (13) **ინტერეს-წერტილი** — სივრცით დაგეგმვაში, ასევე ტოპოგრაფიასა და კარტოგრაფიაში, განსაზღვრული სივრცე ან ადგილმდებარეობა, გამოსახული ნივთიერ-წერტილის სახით, რომელიც კონკრეტული მიზნებისთვის (ადამიანთა მოღვაწეობის/საქმიანობის თვალსაზრისით) წარმოადგენს ინტერესის და/ან მიზიდულობის ობიექტს;⁵
- (14) **ორთოფოტოგადაღება** — ტერიტორიის ნაწილის ორთოფონალური პროექციის მსხვილ- ან წვრილ- მასშტაბიანი ფოტოსურათი, რომელიც დისტანციური ზონდირების მეთოდით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;

⁴ ინგლ. აკრონიმი „Light Detection And Ranging“.

⁵ საერთაშორისო პრაქტიკაში შეესაბამება — Point of interest, POI.



- (15) **საზოგადოებრივი სივრცე —** განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში მდებარე ქუჩა, გზა, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაზარი, ხეივანი, წყლის ზედაპირი და მისი სანაპირო ზოლი, ბუნებრივი ან ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები და/ან მიწის ნაკვეთები, რომლებიც განკუთვნილია ან გადაცემულია საზოგადოებრივი მომარებისთვის, მათ შორის საჯარო სერვიტუტის გამოყენებით;
- (16) **საკვლევი არეალი —** წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემუშავებისთვის საჭირო კვლევების ჩატარების ტერიტორიული ფარგლები და/ან მონაცემების შეგროვების ინფორმაციული არე, რომელიც დამატებით დაზუსტდება შესაბამისი ტაქსონომიური დონის შესაბამისი კონცეფციების შეფასებისას, დაგეგმვაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით;
- (17) **საკონკურსო დოკუმენტაცია —** ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტების კონცეფციების შემუშავების მიწოდების საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო განცხადებას თანდართული წინამდებარე დოკუმენტაცია;
- (18) **საკორდინატო ბადე —** მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული, ტერიტორიის აბსოლუტური ჰორიზონტალური ნიშნულების ერთობლივიაბა (WGS 84 კორდინატთა სისტემას და UTM პროექციაში), გამოსახული ორთოგონალურ ბადეზე;
- (19) **სამეზობლო რეგიონი —** კვლევის მიზნებისათვის განმარტება გულისხმობს მეზობელ ქვეყნებს რეგიონულ ჭრილში, მაგრამ არანაკლებ შეძლები ქვეყნებისა: უკრაინა, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი.
- (20) **სამშენებლო პოტენციალი —** ტერიტორიისთვის გამოყენების დროს ან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების დროს, განაშენიანების მართვის რეგლამენტით მათთვის დადგენილი ქალაქთშენებლობითი სიმჭიდროვეების და/ან განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ათვისების შესაძლებლობა;
- (21) **საპროექტო მომსახურება —** კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში, ქ. ბათუმის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტების შემუშავებისათვის კონცეფციების (1 სტადია) შემუშავების საკონსულტაციო მომსახურება;
- (22) **საპროექტო მომსახურების მიღწევა⁶ —** წინამდებარე დოკუმენტის მოთხოვნათა დაცვით მიღებული საპროექტო მომსახურების შედეგის საფუძველზე (მოსამზადებელი კვლევების შედეგებზე და მათ საფუძველზე მომზადებული კონცეფციებზე დაყრდნობით), ქ. ბათუმის ნაშენი ტერიტორიებისთვის განაშენიანების დეტალური გეგმების შემუშავების შესაძლებლობა;
- (23) **საპროექტო მომსახურების შედეგი⁷ —** სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში გაწეული საკონსულტაციო მომსახურების საბოლოო პროდუქტ(ები), რომელიც უნდა მიეწოდოს შემსყიდველს წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობებისა და მოთხოვნების დაცვით.
- (24) **საბაზისო რუკა —** გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, ტერიტორიის სივრცითი განვითარებისა და ფიზიკური გარემოს ფორმირების, მათ შორის მიწათდაფარულობის (არსებული სურათის) ამსახველი, დაგეგმარების საბაზისო დოკუმენტი, რომელიც მზადდება ციფრული (ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემაში) და/ან ბეჭდური (კარტოგრაფიული გეგმის/რუკის) სახით;
- (25) **საცხოვრებელი სიმჭიდროვე —** დაგეგმარებითი თვალსაზრისით მოწესრიგებული ტერიტორიის (უბანი/კვარტალი ან სამეზობლო) საზღვრებში რეგულირების წესებით ფუნქციური ქვეზონისთვის დადგენილი საცხოვრებელი ერთეულების⁸ მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა ან ამავე ტერიტორიის ყოველ 1 ჰა-ზე ან შენობის განაშენიანების ფართობის განსაზღვრულ წილზე, გამომდინარე განაშენიანების მართვის ამოცანებიდან;
- (26) **სტრატეგის განახადი —** გეგმარებითი ერთეულის განვითარების სტრატეგიის ამსახველი დოკუმენტი. დაგეგმვაში საერთო კონსესუასის გზით ჩამოყალიბებული პრიორიტეტული ღონისძიებების აღწერა, თუ რისი განსრულება სურთ დაინტერესებულ პირებს დასახული ხედვის

⁶ საერთაშორისო პრაქტიკაში შეესაბამება ტერმინი - Outcome.

⁷ საერთაშორისო პრაქტიკაში შეესაბამება ტერმინი - Output.

⁸ ბინა - საცხოვრებელ სახლში და/ან სამილე ერთეული - ნებისმიერი ტიპის სასტუმროში.



- მისაღწევად, და წარმოადგენს სივრცითი განვითარების მიმდინარე და სამომავლო სამოქმედო გეგმების ერთგვარ გზამკვლევს;
- (27) **ქვედა ტაქსონომიური დონე —** სივრცითი დაგეგმვის მიკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც ფოკუსირებულია უფრო მეტად ინდივიდუალური ხასიათის მონაცემებზე და თავისებურებებზე; სადაც დაგეგმვის მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი, კონცენტრირებულია მთლიანის ნაწილებზე და მათ ფუნქციონირებაზე;
- (28) **ტექნიკური პირობები —** საკონკურსო დოკუმენტაციის ნაწილი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავს ხსენებული დოკუმენტაციის შემუშავების მიმართ დეტალურ მოთხოვნებს: შესახყიდი მომსახურების მოცულობასა და სრული აღწერას, მისი გაწევის ადგილს, ფორმასა და ვადას;
- (29) **ტექნიკური დოკუმენტაცია —** მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პრეტენდენტის საკონკურსო წინადადების ნაწილი და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს საკონკურსო პირობებით მოთხოვნილ ინფორმაციას პრეტენდენტისა და შესყიდვის ობიექტის შესახებ, გარდა საკონკურსო წინადადების ფასისა;
- (30) **ტოპოგრაფიული (ტოპოგრადეზიური) გეგმა —** ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ-მასშტაბიანი (არაუმტეტეს მ 1:10000) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინების გარეშე ასახავს ფიზიკურ გარემოს;
- (31) **ტოპოგრაფიული (ტოპოგრადეზიური) რუკა —** ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის წვრილ-მასშტაბიანი (მ 1:10000 მეტი) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;
- (32) **ფოტოგრამეტრია —** სამერნიერო-ტექნიკური დისციპლინა, რომელიც გამოიყენება ობიექტების ფოტოგრამეტრიული მიხედვით მათი ფორმების, ზომების, მდებარეობის და მსგავსი სივრცული მახასიათებლების განსაზღვრისთვის;
- (33) **ფოტოფიქსაცია —** ტერიტორიის ფიზიკური გარემოს ასახვა ფოტოგადაღების მეთოდით, კონკრეტულ დროში მისი მდგრამარეობის დაფიქსირების მიზნით;
- (34) **ქალაქის ფუნქცია —** ქალაქის მოსახლეობის (კომიუნიტეტი და მაცხოვრებლები) და/ან სხვა სუბიექტების საქმიანობის სფერო(ები)ის/დარგ(ები)ის თვითკუმარი კონცენტრაცია, რომელიც/რომლებიც განსაზღვრავს ქალაქის არსებობას და განვითარებას;
- (35) **ქალაქმომსახურე სფერო/დარგი —** ქალაქის ფუნქციაში არსებული სფერო(ები)/დარგ(ები), რომელთა საშუალებით შექმნილი პროდუქტი (საქონელი და/ან მომსახურება) მოცემული ქალაქის ფარგლებში მოიხმარება და/ან საკუთრივ ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეიქმნა;
- (36) **ქალაქმაფორმირებელი სფერო/დარგი —** ქალაქის ფუნქციაში არსებული სფერო(ები)/დარგ(ები), რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის შემოსავალს და ამ ფუნქციების შედეგად შექმნილი პროდუქტი (საქონელი და/ან მომსახურება) მოიხმარება ქვეყნის მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ (საქალაქო ექსპორტი). ქალაქმაფორმირებელი სფერო/დარგი განსაზღვრავს ქალაქის მნიშვნელობას და მის ადგილს ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ;
- (37) **ღირებული ობიექტი —** ისტორიულ-კულტურული (ურბანული, არქიტექტურული, მხატვრული, და/ან მესიერებითი) ღირებულების მქონე უძრავი ობიექტი (შენობა ან ნაგებობა), რომელსაც არ გააჩნია ძეგლის სტატუსი, თუმცა კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად მოიაზრება;
- (38) **წამახალისებელი ზონირება⁹ —** ცალკეული ტერიტორიებისთვის, კოდექსითა და/ან მირითადი დებულებებით განსაზღვრულ ფარგლებში, განაშენიანების მართვის რეგლამენტებით დადგენილი ზონირების საერთო წესების შემარბილებელი (გამონაკლისი) და/ან მასტიმულირებელი ღონისძიებების (გამოწვეული საჯარო ინტერესით) ერთობლიობა, რომლის დროსაც მენაშენეს ეძლევა სამშენებლო მიწის ნაკვეთის განვითარების დამატებითი შესაძლებლობები: საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის განვითარების, შეუსაბამო ობიექტში ცელილებების შეტანის და/ან დასახლების ეკონომიკურად ნაკლებ საინტერესო უბნებში წარმოებული მშენებლობის სანაცვლოდ;

⁹ საერთაშორისო პრაქტიკაში შესაბამება — Incentive Zoning.



- (39) **ხედვის განაცხადი** — გეგმარებითი ერთეულის განვითარების ხედვის ამსახველი დოკუმენტი. დაგეგმვაში საერთო კონსესუსის გზით ჩამოყალიბებული მისწრაფებების აღწერა, თუ რისი მიღწევა ან განსრულება სურთ დაინტერესებულ პირებს საშუალო-ვადიან ან გრძელვადიანი მომავალში, და წარმოადგენს სივრცითი განვითარების სტრატეგიის გზამკვლევს.

ყველა სხვა ტერმინი, რაც მოცემულია ტექსტში და არა განმარტებული ამ მუხლში, განიმარტება შესაბამის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით. ყველა სხვა შემთხვევაში, დასაშვებია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ აღიარებული (1) ტერმინების განმარტებების გამოყენება.

1.1.2. შემოკლებათა ახსნა

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული შემოკლებები¹⁰ აიხსნება შემდეგნაირად:

- 1) **აჭარის ა. რ.** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, საქართველო;
- 2) **ბათუმი** – ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი, საკუთარ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში;
- 3) **გგ** – განაშენიანების გეგმა;
- 4) **გდგ** – განაშენიანების დეტალური გეგმა;
- 5) **გეგმარებითი ერთეული** – გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემუშავებისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული დაგეგმვის ტერიტორიული ფარგლები;
- 6) **დაგეგმვის გუნდი** – პრეტენდენტის/მიწოდებლის სივრცითი განვითარების და განაშენიანების მართვის დაგეგმვის სამუშაო გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია სამუშაოების შესრულებაზე;
- 7) **გეგმების შემუშავების წესი** – საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“;
- 8) **გენეგეგმა** – ქ. ბათუმის (მიწათსარგებლობის) გენერალური გეგმა, რომლის განახლებაც არის დაგეგმილი საპროექტო მომსახურების შედეგების საფუძველზე;
- 9) **გის** – გეოინფორმაციული სისტემა;
- 10) **დაგეგმარება** – სივრცის დაგეგმარება (პროექტირება);
- 11) **დაგეგმვა** – სივრცითი განვითარების დაგეგმვა და/ან განაშენიანების მართვის დაგეგმვა;
- 12) **დსს** – კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთშენებლობითი დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა“;
- 13) **დღე** – კალენდარული დღე, გარდა ტექსტში სპეციალურად მითითებულისა;
- 14) **კვლევა** – ხელშეკრულების ფარგლებში წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული პირობებით, დაგეგმვის გუნდის მიერ ჩატარებული გეგმების კონცეფციების შემუშავებისთვის საჭირო მოსამზადებელი (წინასაპროექტო) კვლევა;
- 15) **კოდექსი** – საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“;
- 16) **მიმწოდებელი** – საპროექტო მომსახურების მიწოდების პრეტენდენტი და/ან კონკურსში გამარჯვებული პირი, რომელთანაც გაფორმდება სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება;
- 17) **განაშენიანების მართვის რეგლამენტი** – ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის (და/ან განაშენიანების დეტალური გეგმების) ტექსტური ნაწილი, შედგენილი გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად;
- 18) **რეფ.** – რეფერენსი. წყაროს მითითების/დამოწმების აღნიშვნა;
- 19) **საჯარო რეესტრი** – სსიპ საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
- 20) **სგშ** – გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება;
- 21) **სდგ** – ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების გეგმა, რომლის შემუშავებაც არის დაგეგმილი, საპროექტო მომსახურების შედეგების საფუძველზე;
- 22) **შემსყიდვები** – ბათუმის მერია;
- 23) **შესყიდვების სისტემა** – სახელმწიფო შესყიდვების ერთანი ელექტრონული სისტემა;

¹⁰ მათ შორის აბრევიატურები, გამოიყენება ბრუნვის ნიშნების გარეშე.



-
- 24) მირითადი დებულებები – საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №261 დადგენილებით
დამტკიცებული „ტერიტორიული გამოყენების და განაშენიანების რეგულირების მირითადი
დებულებები“.



1.2. ბიბლიოგრაფია

წინამდებარე დოკუმენტის შემუშავებაში გამოყენებულია საქართველოში მოქმედი, როგორც ნორმატიულ-სამართლებრივი, ისე საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები. ქვემოთ მოცემულია დაგეგმვის პროცესში გამოსაყენებლად სავალდებულო სამართლებრივი აქტებისა ¹¹ და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტების ცხრილი:

1.2.1. საფუძველმდებარე დოკუმენტები

რეფ.	კლასიფიკაცია	შინაარსი	რეესტრი	წყარო
რეფ.#01	საქართველოს ორგანული კანონი	ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი	№1958-IIIს, 05.02.2014წ	https://www.matsne.gov.ge
რეფ.#02	საქართველოს კანონი	საქართველოს სიკონის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი	№3213-რს, 20.07.2018წ	
რეფ.#03	საქართველოს კანონი	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ	№1388-Іს, 20.05.2005წ	
რეფ.#04	საქართველოს მთავრობის დადგენილება	ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების ძირითადი დებულებების შესახებ	№261, 03.06.2019წ	
რეფ.#05	საქართველოს მთავრობის დადგენილება	სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ	№260, 03.06.2019წ	
რეფ.#06	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება	კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ	№7, 22.05.2015წ	
რეფ.#07	თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს დადგენილება	თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მიწათასარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის (ქალაქთშენებლობითი) სხვა დოკუმენტაციის დამტკიცების წესის თაობაზე	N4-1, 27.02.2009წ	(1), (2)
რეფ.#08	თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს დადგენილება	თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის უბნების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის თაობაზე	N3-1, 31.03.2008წ	https://www.matsne.gov.ge
რეფ.#09	თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს დადგენილება	თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ	№50, 14.09.2012წ	
რეფ.#10	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათასარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალება	№33, 29.09.2017წ; №43, 26.12.2017წ	
რეფ.#11	შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი	ქ. ბათუმის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა (ქ. მათუმის ისტორიული ნაწილის დაცვის, რეაბილიტაციის და პრესკეპტიული განვითარების ბეჭვა)	2007წ	ბათუმის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური; (3)
რეფ.#12	თვითმმართველი	„თვითმმართველი ქალაქ ბათუმის	№14-5,	ბათუმის

¹¹ სამართლებრივი აქტები განხილულია ცვლილებებით და დამატებებით.



	ქალაქის – ბათუმის საკრებულოს დადგენილება	ტერიტორიაზე „ძველი ბათუმის“ მიწათსარგებლობის ზონის შექმნისა და მისი საზღვრების დადგენის შესახებ“	31.08.2007წ	საკრებულო
რეფ.#13	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება	„კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე“ შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის“ მიერ მომზადებული დოკუმენტაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მოწონების (შეთანხმების) თაობაზე	N33, 30.03.2018წ	(4)
რეფ.#14	USAID ¹² , CSI ¹³	ბათუმის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმა	2013წ	ბათუმის მერიის ქალაქვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური
რეფ.#15	საქართველოს მთავრობა	სამთავრობო პროგრამა 2018-2020 და ძველი 2016	2018წ	(6), (7)
რეფ.#16	საქართველოს კონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო განცხადება	ქალაქ მცხეთის სიცრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების ტექნიკური დავალება	N CNT180000024, 16.05.2018წ	(5)
რეფ.#17	თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება	იყალთოს ხევის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება	2017წ	(6)
რეფ.#18	საქართველოს მთავრობის დადგენილება	გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე 6 გეგმარებით არეალში განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება	N 401, 2017წ	https://www.matsne.gov.ge

1.2.2. დაგეგმვის სახელმძღვანელო დოკუმენტები

გარდა წ1.2.1-ში მოცემული ნორმატიული დოკუმენტებისა, პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა უნდა
გაითვალისწინოს ქვემოთ მოცემული დოკუმენტები:

ნორმატიული	შინაარსი	რეესტრი	წყარო
კონსტიტუციური კანონი	საქართველოს კონსტიტუცია	№786, 24.08.1995წ	
ორგანული კანონი	აჭარის ა. რ. კონსტიტუცია	№232-რს, 15.07.2008წ	
ორგანული კანონი	ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი	№1958-IIს, 05.02.2014წ	
კანონი	საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამერქნო საქმიანობის კოდექსი	№1506-IIს, 24.06.2005წ	
კანონი	გარემოს დაცვის შესახებ	№519-IIს, 10.12.1996წ	
კანონი	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	№890-IIს, 01.06.2017წ	
კანონი	წყლის შესახებ	№936-IIს, 16.10.1997წ	
კანონი	ტყის კოდექსი	№2124-IIს, 22.06.1999წ	
კანონი	საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების	№576-IIს,	

<https://www.matsne.gov.ge>

¹² აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო

¹³ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი.



კანონი	რეგულირებისა და საინინრო დაცვის შესახებ	27.10.2000წ	
კანონი	საზღვაო კოდექსი	Nº715-II ს, 15.05.1997წ	
კანონი	დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ	Nº137-IIს, 07.03.1996წ	
კანონი	საავტომობილო გზების შესახებ	Nº585, 11.11.1994წ	
კანონი	საგზაო მოძრაობის შესახებ	Nº1830-რს, 24.12.2013წ	
კანონი	საქართველოს სარკინიგზო კოდექსი	Nº1911-რს, 28.12.2002წ	
კანონი	სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ	Nº2467-IIს, 29.05.2014წ	
კანონი	ტურიზმისა და კურორტების შესახებ	Nº599, 06.03.1997წ	
კანონი	ნარჩენების მართვის კოდექსი	Nº2994-რს, 26.12.2014წ	
კანონი	გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ	Nº1345-IIს, 28.04.1998წ	
კანონი	სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ	Nº3099-IIს, 19.02.2015წ	
პრეზიდენტის ბრძანებულება	საქართველოში სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატორთა სისტემის შესახებ	Nº206, 30.04.1999წ	
მთავრობის დადგენილება	ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების ძირითადი დებულებების შესახებ	Nº261, 03.06.2019წ	
მთავრობის დადგენილება	სივრცის დაგეგმვისა და ქალაქებრივი სამსახურის გეგმების შექმნავის წესის შესახებ	Nº260, 03.06.2019წ	
მთავრობის დადგენილება	ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები	Nº366, 24.12.2013წ	
მთავრობის დადგენილება	მაგისტრალური მილსადაწების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონები	Nº365, 24.12.2013წ	
მთავრობის დადგენილება	საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ	Nº425, 2013წ	
მთავრობის დადგენილება	საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ	Nº445, 2014წ	
მთავრობის დადგენილება	წყალდაცვითი ზოლის შესახებ	Nº440, 2013წ	
სხვა	მინარსი	რეესტრი	წყარო
სივრცითი დაგეგმვა / Spatial Planning	ეფუძლიან მართვისა და განვითარების საკვანძო ინსტრუმენტი, განსაკუთრებული აქცენტებით გარდამავალი ვონომიკის მქონე ქვეყნებისთვის (აუტორი: გაერო, კვრპის კუნძულიკური კომისია; ნიუ-იორკი და ქართველი დაგეგმვა)	ECE/HBP/146 2008წ	(8)
ზონირების საერთაშორისო კოდექსი / INTERNATIONAL Zoning Code	მიწათსარეგებლობის ზონირების საერთაშორისო სამოდელო რეგლამენტი, რომლის მიზანია საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.	2015წ	(9)
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა	სახელმძღვანელო საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის. ხელნაწერი.	2018წ	(12)

<https://www.matsne.gov.ge>

1.2.3. დამოწმებული წყაროები



1. UNECE. PUBLICATIONS AND REPORTS. *HOUSING AND LAND MANAGEMENT.* [ინტერნეტი] UNITED NATIONS PUBLICATION, 2008 წლის. Spatial Planning: Key Instrument for Development and Effective Governance. https://www.unece.org/hlm/publications_recent10.html.
2. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის (ქალაქთმშენებლობითი) სხვა დოკუმენტაციის დამტკიცების წესის თაობაზე“. *batumi.ge.* [ინტერნეტი] 2009 წლის. batumi.ge/upload/docx/4-1-dadgenileba.docx.
3. შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი. ქ. ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, ნაწილი I - ქ. ბათუმის პერსპექტიული განვითარების ხედვა. ბათუმი : გეოგრაფიკი, 2008.
4. —. ბათუმის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა. თბილისი : გეოგრაფიკი, 2007. ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის დაცვის, რეაბილიტაციის და პერსპექტიული განვითარების ხედვა.
5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე“ შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის“ მიერ მომზადებული დოკუმენტაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მოწონების (შეთანხმების) თაობაზე. ბათუმი : უსათ., 2018 წლის. 33.
6. საქართველოს მთავრობა. სამთავრობო პროგრამა 2018-2020. საქართველოს მთავრობის აღმინისტრაცია. [ინტერნეტი] 2018 წლის. http://gov.ge/files/68_67099_111823_2018-2020.pdf.
7. —. სამთავრობო პროგრამა. საქართველოს მთავრობის აღმინისტრაცია. [ინტერნეტი] 2016 წლის. http://gov.ge/files/68_58446_288262_programa.pdf.
8. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საკონკურსო დოკუმენტაცია - მცხეთა. *tenders.procurement.gov.ge.* [ინტერნეტი] 16 წლის 2018 05. <http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=267965&lang=ge>.
9. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო. Document Base. <http://www.telavi.gov.ge>. [ინტერნეტი] 28 წლის 2017 04. http://www.telavi.gov.ge/sites/default/files/025_gankarguleba_2.pdf.
10. INTERNATIONAL CODE COUNCIL, INC. *International Zoning Code 2015.* 1st. s.l. : ICC, INC., 2014. ISBN: 978-1-60983-489-0.
11. ვარდოსანიძე, ვ. ძიმიგური, პ. ჩიჟევსკა, ა. ჯოხაძე, ვ. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმის სახელმძღვანელო საქართველოს აღვილობრივი თვითმმართველობებისათვის. [რედ.] ხოშტარია თ. ხელნაწერი. თბილისი : უსათ., 2018.
12. ქალაქ ბათუმის მერია. ბათუმი; სტრუქტურა. *batumi.ge.* [ინტერნეტი] 2006-2015 წლის. <http://batumi.ge/ge/>.



13. A+S Consult GmbH. *Transport Data Collection and Baseline Assessment / ბათუმის სატრანსპორტო მონაცემები და პირველადი შეფასება. GEF, UNDP, Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia. Batumi : UNDP Georgia / გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, 2017. Technical Report #1. Green Cities: Integrated Sustainable urban Transport for the City of Batumi and the Achara Region (ISTBAR).*

1.3. ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის

საპროექტო მომსახურებაზე სახელმწიფო შესყიდვა წარმოებს კონკურსის წესით, რომელიც ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით და სადაც შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანების შესაბამისად.

კონკურსთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების და/ან ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმას შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.

შესყიდვების სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტზე და/ან ინფორმაციაზე შეასრულონ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა და/ან ეს დოკუმენტები დაამოწმონ კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად (უფლებამოსილი პირის მიერ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).¹⁴

ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტაციის გ4-ში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება საკონკურსო წინადადების შესაბამისად, კანონით დადგენილ ფარგლებში.

საკონკურსო წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით, აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ. ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 % (პროცენტს), ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ა) თუ ელექტრონული გარანტია გაცემულია ელექტრონული გარანტიების რეესტრის მეშვეობით - კონკურსისთვის კონკურსის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭებიდან არანაკლებ 160 დღე;
- ბ) კონკურსისთვის კონკურსის საბოლოო სტატუსის მინიჭებიდან **10** დღე, თუ ელექტრონული გარანტია წარდგენილია საბანკო პლასტიკური ბარათიდან სააგენტოს ანგარიშზე თანხის გადარიცხვისგზით.

საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასურის ოდენობა შეადგენს **50** ლარს. საფასურის გადახდა შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონულად, სისტემის მეშვეობით, ელექტრონული გარანტიის წარდგენის შემდეგ და ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვამდე.

ტექნიკური დოკუმენტაციის შესყიდვების სისტემაში ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს საკონკურსო წინადადების ფასი დღგ-ს გარეშე,

¹⁴ ინსტრუქციისთვის იხ. სახელმძღვანელო ინსტრუქცია და ციფრული ხელმოწერა.



რომელიც არ უნდა აღმატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა ორი მილიონ ხუთასი ათასი (სიტყვიერად) ლარი დღგ-ს გარეშე.

საკონკურსო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯის გათვალისწინებით, გარდა დღგ-სა. პრეტენდენტს საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშების წარმოდგენა არ მოეთხოვება. პრეტენდენტი ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა არის თუ არა იგი დღგ-ს გადამზდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის დღგ-ს გადამზდელი, ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება საკონკურსო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ს ოდენობა.

დაუშვებელია ტექნიკურ დოკუმენტაციაში საკონკურსო წინადადების ფასის მითითება, პრეტენდენტი საკონკურსო წინადადების ფასს უთითებს მხოლოდ შესყიდვების სისტემის შესაბამის ველში.

პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითებს საკონკურსო წინადადების ფასს, აქვთ დადგენილი დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო წინადადების ფასის მითითებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტს უფლება არ აქვს შეცვალოს წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და საკონკურსო წინადადების ფასი.

კონკურსანტს/პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ხელშეკრულების დასადებად მოწვევამდე, პრეტენდენტს უფლება აქვს, უარი თქვას საკონკურსო წინადადებაზე.

საუკეთესო საკონკურსო წინადადებისა და გამარჯვებულის გამოვლენისათვის კონკურსში გამოიყენება საკონკურსო პირობებით დადგენილი კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წონები (§3).

კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადებით და/ან საკონკურსო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად წარმოდგენის ან ისეთი საკონკურსო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში, რომელიც არ პასუხობს კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების და/ან საკონკურსო დოკუმენტაციის ყველა მოთხოვნას, შესაძლებელია გამოიწვიოს კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

კონკურსში მონაწილეობის მიზნით მოთხოვნები პრეტენდენტების შესახებ იხ. ჭ2-ში.

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებიდან ამავე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე, არაუგვიანეს 24 საათისა, ნებისმიერ მიმწოდებელს უფლება აქვს სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის დაზუსტება.

შესყიდვის პროცედურების შესახებ განმარტებების მისაღებად მიმართეთ საკონკურსო აპარატის წევრის: იმზე ზოსიძე, ტელ: (+995 577) 30 26 08 ; ელ. ფოსტა: tender@batumi.ge; მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

საკონკურსო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით მიმართეთ: მირიან მეტრეველს, ტელ: (+995 577) 40 35 35 და/ან მამუკა რამიშვილს, ტელ: 577 27 26 38, ელ. ფოსტა: architecture.batumi@gmail.com; მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.



2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი

2.1. საერთო მითითებები

საპროექტო მომსახურების კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, პრეტენდენტად განიხილებიან იურიდიული პირები და/ან მათთან გაერთიანებული ფიზიკური პირები, რომელთაც გააჩნიათ თავიანთ საქმიანობაში შესაბამისი პროფილით მუშაობის ამ თავით დადგენილი გამოცდილება.

კონკურსში ერთობლივად მონაწილეობის მიზნით, ორ ან რამდენიმე მიმწოდებელს (ფიზიკურ და/ან იურიდიულ პირებს) უფლება აქვს, გაერთიანდეს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით. ამხანაგობის სახელით კონკურსში მონაწილეობის შემთხვევაში, პრეტენდენტი ვალდებულია გაითვალისწინოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 24-ე მუხლის თანახმად გათვალისწინებული პირობები, მათ შორის:

- ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ შეიძლება იყოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებ(ებ)ის მოქმედების ვადაზე ნაკლები;
- ამხანაგობის მონაწილეები შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად;
- ამხანაგობის მონაწილეები უფლებამოსილი არიან, შესარულონ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სხვადასხვა ნაწილი, თუ შესაძლებელია მათი გამოცალევება მთლიანი ვალდებულებებიდან და დამოუკიდებლად შესრულება, იმგვარად, რომ აღნიშნულმა, ალბათობის მაღალი ხარისხით, არ უნდა გამოიწვიოს საბოლოო შედეგის განადგურება, დაზიანება და/ან შედეგით სარგებლობის შეუძლებლობა. ამხანაგობის მონაწილეებმა ტექნიკურ დოკუმენტაციაში მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ, თუ თითოეული მონაწილე კონკრეტულად რომელ ვალდებულებას შეასრულებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში;
- ამხანაგობის მონაწილეთა ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების დაჯამება დასაშვებია, ხოლო გამოცდილების შეკრება არ დაიშვება.¹⁵

2.2. დაგეგმვის გუნდი

პრეტენდენტის/მიმწოდებლის დაგეგმვის გუნდი უნდა შედგებოდეს სივრცითი დაგეგმვისა და დაგეგმვის სპეციალისტების ბირთვისგან, მოწვეული დარგობრივი სპეციალისტებისგან, ადგილობრივი და/ან საერთაშორისო ქასპერტებისგან. მინიმალური მოთხოვნები პროექტის დაგეგმვის გუნდის შემადგენლობის თაობაზე მოცემულია ქვემოთ ცხრილებში.

დაგეგმვის გუნდი უნდა გაიყოს სივრცითი განვითარების დაგეგმვის და განაშენიანების მართვის დაგეგმვის ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ სხვადასხვა დარგის წამყვანი სპეციალისტები და ტექნიკოსები. ორივე ჯგუფის წევრებმა უნდა იმუშავონ საკუთარი ხელმძღვანელისა უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ. გამომდინარე სამუშაოთა იერარქიულობიდან, წამყვანი როლი ენიჭება სივრცითი დაგეგმვის ჯგუფს, თუმცა სინერგიული მოქმედების გარეშე შეუძლებელია სრულყოფილი საპროექტო მომსახურების შედეგის მიღება.

სამუშაოთა საერთო კოორდინაციასა და ჯგუფების სინერგიულ მუშაობას უზრუნველყოფს პროექტის საერთო ხელმძღვანელი (კოორდინატორი), რომელიც პასუხისმგებელი იქნება პრეტენდენტის/მიმწოდებლის შეუფერხებელ ურთიერთობაზე შემსყიდველთან. ამ სტატუსით შესაძლებელია შეირჩეს როგორც პრეტენდენტის / მიმწოდებლის წარმომადგენლობაზე /

¹⁵ სხვადასხვა პირის ერთიდაიგივე სფეროში გამოცდილება არ იკრიბება, არამედ განიხილება მხოლოდ მათგან ყველაზე რელიეფული მონაცემები; ხოლო სხვადასხვა პირის სხვადასხვა სფეროში გამოცდილება ცალ-ცალკე იქნება განხილული პრეტენდენტის კვალიფიციურობის დასადგენად.



ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი (მაგ. მეწარმე სუბიექტის დირექტორი, ამხანაგობის თავმჯდომარე და ა.შ.), ისე სპეციალურად მოწვეული პროექტების მართვის სპეციალისტი.

დაგეგმვის გუნდის სრულფასოვნად დაკომპლექტების მიზნით, გარდა გ2.2.2-ში მოცემულისა, პრეტენდენტს/მიმწოდებელს შეუძლია შემსყიდველისთვის შეთავაზების გაკეთება სხვა პროფესიის მქონე პირებისა და დამხმარე პერსონალის ჩართვის შესახებ, რამდენადაც დაგეგმვის მრავალფეროვანი ინსტრუმენტების არსებობიდან გამომდინარე, შესყიდვის ფარგლებში მოითხოვება განსხვავებული ცოდნა და გამოცდილება. თუმცა გუნდის წევრების ჩანაცვლება არ არის დასაშვები გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, ¹⁶ - რაც მის პროექტში ჩართულობას გამორიცხავს. ასეთ დროს მიმწოდებელმა შემსყიდველს წინასწარ უნდა აცნობოს ოფიციალური მიმოწერის საშუალებით და წარუდგინოს იმ ალტერნატიული კანდიდატების რეზიუმეები, რომლებსაც ექნებათ სულ მცირე მსგავსი კვალიფიკაცია და მათგან წერილობითი დასტური. შემსყიდველი 10 დღის ვადაში წერილობითვე დადასტურებს წევრის ჩანაცვლების შესაძლებლობას.

დაგეგმვის გუნდის თითოეულ სპეციალისტს უნდა გააჩნდეს ეროვნულ დონეზე აღიარებული სათანადო კვალიფიკაცია და/ან ექსპერტული ცოდნა. აღნიშნული უნდა საბუთდებოდეს დოკუმენტურად: კვალიფიკაცია შესაბამისი სასწავლებლის ¹⁷ მიერ გაცემული მოწმობით (დიპლომი, სერთიფიკატი ან სხვა მსგავსი), ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, ექსპერტული/ტექნიკური ცოდნა უნდა დაამოწმოს რეკომენდატორმა. რეკომენდაცია შეიძლება გასცეს ყოფილმა ხელმძღვანელმა ან პირმა, რომელმაც ჩაიბარა ამ კონკრეტული სპეციალისტის შესრულებული სამუშაოები, თუმცა რეკომენდაცია არ უნდა იყოს გაცემული სხვა პრეტენდენტის მიერ.

დაგეგმვის გუნდში დასაშვებია ერთიდაიგივე პირმა დაიკავოს 2 პოზიცია, იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს საქმის შეთავსება. დაუშვებელია სამი და მეტი პოზიციის ერთდროულად დაკავება. სპეციალისტები შეიძლება მობილიზებულ იქნენ სხვადასხვა იურიდიული პირების მიერ, სადაც კი ქვეკონტრაქტი დაშვებულია წინამდებარე დოკუმენტით.

ქვემოთ მოყვანილ ძირითად სფეროებში, პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა ტექნიკურ დოკუმენტაციაში უნდა მიუთითოს (იხ. გ3.1) მინიმუმ მოთხოვნილი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალები. ¹⁸ პრეტენდენტი/მიმწოდებელი ვალდებული იქნება მოახდინოს შემოთავაზებაში მითითებული პერსონალის მობილიზაცია და უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა სამუშაოს საჭიროების მიხედვით.

2.2.1. იურიდიულ პირთა მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები

კომპონენტი	გამოცდილება	დონე	ქვეკონტრაქტორი ¹⁹
საბაზის მონაცემები და რუკები	<p>მინიმუმ 3 წლიანი დოკუმენტურად დასაბუთებული გამოცდილება ადგილობრივი დონეზე, სიკრცით დაგეგმვაში საბაზისო მონაცემების შეგროვებისა და დოკუმენტების მომზადებაში. ასევე, ხოლო 15 წლის მანძილზე შესრულებული არა ნაკლებ:</p> <ul style="list-style-type: none"> 1 ერთეული აეროფოტოგადაღება დონის გამოყენებით, არანაკლებ 5000 ჰექტარობის მქონე ტერიტორიისთვის; 5 ერთეული ტოპოგრაფიული რუკა და/ან გეგმა, არანაკლებ 1 ჰა ფართობის მქონე ტერიტორიისთვის; განაშენიანების კვლევა არანაკლებ 1 ჰა ფართობის მქონე ტერიტორიის. 	ადგილობრივი	დასაშვებია

¹⁶ ასეთად განიხილება გუნდის წევრის: გარდაცვალება; ავადმყოფობა; ქვეყნიდან წასვლა; პირადი განცხადება; იურიდიული პირის ლიკვიდაცია, ან სხვა, პროექტით შეუთავსებელი საქმიანობა.

¹⁷ მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული.

¹⁸ გუნდის წევრთა კვალიფიკაცია შემოთავაზების შეფასების მთავარი კრიტერიუმია.

¹⁹ იგულისხმება წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებაში ქვეკონტრაქტორის აყვანის შესაძლებლობა, როგორც წინადადებაში წარმოსადგენად, ისე ხელშეკრულების გაფირმების შემდგომ.



ფუნქციის დაგენერიკაციის კვლევა	<p>მინიმუმ 3 წლიანი დოკუმენტურად დასაბუთებული საერთაშორისო და/ან ადგილობრივი გამოცდილება კვონომიკური განვითარების კვლევებისა და სტრატეგიების მომზადების სფეროში.</p> <p>ბოლო 5 წლის მანძილზე შესრულებული არა ნაკლებ:</p> <ul style="list-style-type: none"> 1 ერთეული დასახლების მგგ. რომლის ღირებულება იქნება შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 10% მაინც. 	<p>საერთაშორისო და/ან მასთან დაკავშირებული და/ან ასოცირებული ადგილობრივი</p>	დასაშვებია
დაგენერაცია	<p>მინიმუმ 5 წლიანი დოკუმენტურად დასაბუთებული საერთაშორისო და/ან ადგილობრივი გამოცდილება სივრცითი დაგეგმვის დოკუმენტების მომზადებაში და გააჩნდეს ბოლო 15 წლის მანძილზე შესრულებული არა ნაკლებ:</p> <ul style="list-style-type: none"> 1 ერთეული დასახლების მგგ. რომლის ღირებულება იქნება შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 10% მაინც; 5 ერთეული, არანაკლებ 0.5 ჰა ფართის მქონე ტერიტორიის გრგ. მათ შორის 1 ერთეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რომელიმე დამცვე ზომაში. 	<p>ადგილობრივი</p>	დასაშვებია

ცხრილი I. საკვალიფიკაციო მოთხოვნების მატრიცა I

2.2.2. ფიზიკურ პირთა - სპეციალისტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები

პერსონალი	პოზიცია	მინ. #	კვალიფიკაცია/კომპეტენცია და გამოცდილება	რეფერენსი
პროექტის მართვის სპეციალისტი	სამუშაოების საერთო ხელმძღვანელი / კოორდინატორი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ბარისი ადმინისტრირებაში (MBA) და/ან ჯენერალური ცოდნის მქონე, პროექტის მართვის განხრით; სულ მცირე 5-წლიანი გამოცდილება დაგეგმვის პროცესის მართვაში. გამოცდილება კოლაბორაციული პროექტების მართვაში მიზნება უპირატესობად. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და/ან 2 უახლესი რეკომენდაცია
სივრცითი დაგეგმვის სპეციალისტი ²⁰	სივრცითი დაგეგმვის ჯგუფის ხელმძღვანელი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ბარისი და/ან ჯენერალური ცოდნის მქონე დაგეგმვის განხრით. სულ მცირე 3-წლიანი გამოცდილებით დაგეგმვას და/ან დაგეგმვულაში. დაგეგმვის ჯგუფის ხელმძღვანელის ან მისი მოადგილის ამტკიცებული მუშაობის გამოცდილება და/ან რეგიონულ დაგეგმვაში გამოცდილება მიზნება უპირატესობად. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და/ან 1 უახლესი რეკომენდაცია
ქალაქებისა და/ან მიწათსარებლობის ს დაგეგმვის სპეციალისტი	განაშენიანების მართვის დაგეგმვის ჯგუფის ხელმძღვანელი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ბარისი და/ან ჯენერალური ცოდნის მქონე დაგეგმვის განხრით. სულ მცირე 5-წლიანი პროფესიული გამოცდილება: გამოცდილება (კულტურული) მემკვიდრეობის ობიექტებთან მუშაობის თვალსაზრისით მიზნება უპირატესობად. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და/ან 1 უახლესი რეკომენდაცია
ურბან- კონომისტი / კონომ-გეოგრაფი	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ბარისი ურბანულ კონომიკაში, კონომიკაში/ფინანსებში, და/ან ბიზნეს ადმინისტრირებაში. სულ მცირე 3-წლიანი გამოცდილება ურბანული ინფრასტრუქტურის / უძრავი ქონების კონომიკურ და ფინანსურ შეფასებაში. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

²⁰ საერთაშორისო პრაქტიკაში — Spatial Planner.

²¹ საერთაშორისო პრაქტიკაში — Urban Planner.



არქიტექტორ-ურბანისტი / ურბანისტი ²²	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ბარისი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და/ან არქიტექტურაში ურბანისტიკის განარით. სულ მცირე 5-წლიანი პროფესიული გამოცდილება კლეიჩებში. პროფესიონალური რომელიმე აკადემიური თანამდებობა მიიჩნევა უპირატესობად. 	კალიფიკაციის დამადასტურებელი ი დოკუმენტი
კონსერვატორი არქიტექტორი-რესტავრატორი / ხელოვნებათმცოდნე	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ბარისი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და/ან არქიტექტურაში; სულ მცირე 3-წლიანი პროფესიული გამოცდილება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებთან მუშაობაში. 	კალიფიკაციის დამადასტურებელი ი დოკუმენტი
სოციოლოგი	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ბარისი და/ან ჯენერტული ცოდნის მქონე სოციოლოგიის განხილვა; სულ მცირე 3-წლიანი პროფესიული გამოცდილება სკოლულტარი და თანამინიჭლებითი პროფესიების შემსახუას და მორგავი. გამოცდილება მექანიზმების (ზუნებრივი და/ან უცლტურული) მართვის კუთხით მიიჩნევა უპირატესობად. 	კალიფიკაციის დამადასტურებელი ი დოკუმენტი და/ან 1 უახლესი რეკომენდაცია
მიწისა (საკუთრების) და კადასტრის სპეციალისტი	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> ეროვნულ დონეზე აღარეცული შესაბამისი პროფესიული კალიფიკაციის და/ან ჯენერტული ცოდნის მქონე მიწის მართვის სკოლულტარი. სულ მცირე 3-წლიანი პროფესიული გამოცდილება მიწის მართვის სკოლულტარის უპირატესობაში. 	კალიფიკაციის დამადასტურებელი ი დოკუმენტი და/ან 1 უახლესი რეკომენდაცია
საქალაქო ინფრასტრუქტურის ინჟინერი / სპეციალისტი	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> მაკალაკრის ბარისი სამუქალქო ან საინჟინრო ინფრასტრუქტურის განხილვა და/ან უსასერტული ცოდნის მქონე ინფრასტრუქტურულ ინჟინერიაში. სულ მცირე 3-წლიანი გამოცდილება ურბანულ დასახლებებში ინფრასტრუქტურის საინჟინრო დამრეცების კუთხით. 	კალიფიკაციის დამადასტურებელი ი დოკუმენტი და/ან 1 უახლესი რეკომენდაცია
საქალაქო ტრანსპორტის ინჟინერი სპეციალისტი	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> მაკალაკრის ბარისი სატრანსპორტო დაგეგმვაში ან სატრანსპორტო ინჟინერიაში, და/ან უსასერტული ცოდნის მქონე საგზაო მოძრაობის ან ტრანსპორტის მართვის მიმართულებით. სულ მცირე 5-წლიანი გამოცდილებით საქალაქო დასახლებებში ან მათ ნაწილებში კომპლექსური სატრანსპორტო სექტორის შემსავების კუთხით. 	კალიფიკაციის დამადასტურებელი ი დოკუმენტი და/ან 1 უახლესი რეკომენდაცია
კოლოგიის ინჟინერი კოსისტემების მართვის სპეციალისტი	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ბარისი კოლოგიის ინჟინერიაში ან კოსისტემების მართვაში და/ან უსასერტული ცოდნის მქონე გარემონტირების დაცვის სკოლულტარი; სულ მცირე 3-წლიანი გამოცდილება ურბანული სერვისების განვითარების პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასებების (ზრდის) წარმოებაში. 	კალიფიკაციის დამადასტურებელი ი დოკუმენტი და/ან 1 უახლესი რეკომენდაცია
ლანდშაფტის არქიტექტორი დიზაინერი	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ბარისი არქიტექტურაში/დაგეგმვარებაში და ლანდშაფტის განვითარების (განვითარება/გამწვანება) ან მიმოქმედ სფეროში. სულ მცირე 3-წლიანი პროფესიული გამოცდილება. 	კალიფიკაციის დამადასტურებელი ი დოკუმენტი და/ან 1 უახლესი რეკომენდაცია
გეო-ინფორმაციული სისტემების (GIS) სპეციალისტი	წამყვანი სპეციალისტი	2	<ul style="list-style-type: none"> ეროვნულ დონეზე აღარეცული შესაბამისი პროფესიული კალიფიკაციის მქონე და/ან უსასერტული ცოდნის მქონე გიგ სკეციალისტი; GIS რომელიმე პროგრამული უზრუნველყოფის სრულყოფილი ცოდნა (მათ შორის GIS პროგრამებს შორის თაცსებადობის უზრუნველყოფა სამოლოო პროდუქტის 	კალიფიკაციის დამადასტურებელი ი დოკუმენტი და/ან 1 უახლესი რეკომენდაცია

²² წინადადებაში მიეთითება მხოლოდ ერთ-ერთი: ურბანისტი ან არქიტექტორი, ხოლო ორივეს არსებობის შემთხვევაში — ცალ-ცალკე.



			<ul style="list-style-type: none"> მოთხოვნილ პროგრამაში ჩაბარების მიზნით). სულ მცირე 5-წლიანი პროფესიული გამოცდილებით. გამოცდილება გეო-ინფორმაციული სისტემების შემუშავებასა და მართვაში მიიჩნევა უპირატესობად. 	
ტურიზმის განვითარების სპეციალისტი	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ხარისხი მიზნეს ადმინისტრირებაში (MBA) და/ან ექსპერტული ცოდნის მქონე ტურიზმის მართვაში. სულ მცირე 3-წლიანი პროფესიული გამოცდილება ტურიზმის განვითარებისა და მართვის მიმართულებით. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელ ი დოკუმენტი და/ან 1 უახლესი რეკომენდაცია
იურისტი	წამყვანი სპეციალისტი	1	<ul style="list-style-type: none"> მაგისტრის ხარისხი იურისპრუდენციაში. სულ მცირე 3-წლიანი პროფესიული გამოცდილება. საკანონმდებლო და კანონმდებლებით სფეროში მუშაობის გამოცდილება მიიჩნევა უპირატესობად. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელ ი დოკუმენტი
არქიტექტორი	ტექნიკოსი	3	<ul style="list-style-type: none"> მაკალავრის ხარისხი არქიტექტურაში ან ქალაქებურებაში. ავტომატიზმული დაპროექტების სისტემის (CAD) და კომპიუტერული მოდელირების შესაბამისი პროგრამების სრულყოფილი ცოდნა. სულ მცირე 3-წლიანი პროფესიული გამოცდილება არქიტექტურული ნახატების შედგენაში. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელ ი დოკუმენტი
კარტოგრაფი	ტექნიკოსი	2	<ul style="list-style-type: none"> მაკალავრის ხარისხი კარტოგრაფიაში და/ან გეოგრაფიაში. სულ მცირე 3-წლიანი პროფესიული გამოცდილება კარტოგრაფიაში. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელ ი დოკუმენტი
ტოპოგრაფი / გეოდეზისტი	ტექნიკოსი	2	<ul style="list-style-type: none"> მაკალავრის ხარისხი გეოდეზიაში და/ან ექსპერტული ცოდნის მქონე ტოპოგრაფიაში. ავტომატიზმული დაპროექტების სისტემის (CAD) და კომპიუტერული მოდელირების შესაბამისი პროგრამების სრულყოფილი ცოდნა. სულ მცირე 3-წლიანი პროფესიული გამოცდილება რუკიტის/გეომეტრიის შედგენაში (როგორც საველა, ასევე კამერალურ სამუშაოებში). სეუციალიზაციის მიწის ან შენობების კვლევის მეთოდებში მიიჩნევა უპირატესობად. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელ ი დოკუმენტი და/ან 1 უახლესი რეკომენდაცია
რედაქტორი	ტექნიკოსი	2	<ul style="list-style-type: none"> მაკალავრის ხარისხი ჰუმანიტურ მეცნიერებები, ინდონისტრ ენაში, კომუნიკაციებში ან ურნაღლისტრიკაში. Microsoft office-ის სრულფასოვნად ცოდნა, Adobe-ებს ფლობა ითვლება უპირატესობად. სულ მცირე 3-წლიანი პროფესიული გამოცდილება. არქიტექტურისა და დაგეგმვის სფეროში არსებული სარედაქტო საქმიანობა მიიჩნევა უპირატესობად. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელ ი დოკუმენტი
კომუნიკაციის სპეციალისტი	ტექნიკოსი	2	<ul style="list-style-type: none"> მაკალავრის ხარისხი კომუნიკაციაში ან სოციოლოგიაში. სულ მცირე 3-წლიანი პროფესიული გამოცდილება საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით. Microsoft office-ის სრულფასოვნად ცოდნა, Adobe-ებს ფლობა ითვლება უპირატესობად. პროფესიული ცოდნა და გამოცდილება არქიტექტურისა და დაგეგმვის სფეროში მიიჩნევა უპირატესობად. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელ ი დოკუმენტი
იურისტი	ტექნიკოსი	1	<ul style="list-style-type: none"> მაკალავრის ხარისხი იურისპრუდენციაში, ადმინისტრაციულ სამართლიში. სულ მცირე 3-წლიანი პროფესიული გამოცდილება ადმინისტრაციული სამართლის საკითხებში. საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება მიიჩნევა უპირატესობად. 	კვალიფიკაციის დამადასტურებელ ი დოკუმენტი



ცხრილი 2. სკვალიფიკაციონ მოთხოვნების მატრიცა 2



3. საკონკურსო წინადადების საკვალიფიკაციო და ხარისხის შეფასების მოთხოვნები²³

3.1. ტექნიკური დოკუმენტაცია:

3.1.1.ზოგადი სტრუქტურა

პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი ტექნიკური დოკუმენტაცია შედგება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული დოკუმენტისგან. მათი შემოწმებისა და შეფასების სისტემატიზებისთვის, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი ძირითადი დოკუმენტი და მისი დანართი დოკუმენტაცია.²⁴ ძირითადი დოკუმენტის სტრუქტურა მინიმუმ უნდა იყოს შემდეგი სახის:

1. შესავალი:

- 1.1. დოკუმენტის რეზიუმე;
- 1.2. დოკუმენტის შემდგენლები და წარმდგენი პირები;
- 1.3. გამოყენებულ ტერმინთა განმარტება (თუ კოდუქსის და/ან წინამდებარე დოკუმენტისგან განსხვავებულ ტერმინებს იყენებს პრეტენდენტი);
- 1.4. გამოყენებულ შემოკლებათა ახსნა (თუ შემოკლებებს იყენებს პრეტენდენტი).

2. სამოქმედო გეგმა (§3.1.2)

3. პრეტენდენტის გამოცდილება:

- 3.1. ორგანიზაციული გამოცდილების ამსახველი ცხრილი (მიეთითება შესყიდვის ტიპი, კატეგორია, სამუშაო, პერიოდი და ბიუჯეტი. §2.2.1) და დანართი დოკუმენტაცია (§3.1.2)
- 3.2. პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ამსახველი ცხრილი (მიეთითება პოზიცია, პრეტენდენტი, კვალიფიკაცია/კომპეტენცია და გამოცდილება. §2.2.2) და დანართი დოკუმენტაცია (§3.1.2)

4. საპროექტო მომსახურების მიწოდების გეგმა-გრაფიკი.

დასაშვებია დამატებით, სხვა რელევანტური საკითხების წარმოჩენაც, პრეტენდენტის შეხედულებისამებრ (მაგ. გეგმარებითი ერთეულის მოკლე მიმოხილვა – პრეტენდენტის მიერ დანახული გამოწვევები და შესაძლებლობები, და მსგავსი). ყველა მსგავსი საკითხი ცალკე დანართის სახით უნდა იყოს მოწოდებული.

3.1.2.აუცილებელი მოთხოვნები

1. საპროექტო მომსახურების მიწოდების ფარგლებში სამუშაოთა წარმართვის დეტალური სამოქმედო გეგმა, ცალკეულ ქმედებათა მეთოდიკის აღწერით, ტექნიკურ პირობებში მოცემული მითითებების დაცვით. კერძოდ:
 - 1.1. §1.2.1-§1.2.2-ში მოცემული სახელმძღვანელო და გასათვალისწინებელი დოკუმენტებიდან რა ინფორმაციას გამოიყენებს და/ან რას დაამატებს და რა მიზნით; რა მეთოდებით და როგორი იქნება შედეგების გამოყენებადობა (კორელაცია), მათ შორის საპროექტო მომსახურების მიღწევასთან;
 - 1.2. §2.1-ის მოცემული დაგეგმვის გუნდის დაკომპლექტების დეტალური აღწერა და მათი პოზიციის, კომპეტენციების და გასაწევი სამუშაოს კორელაცია. აგრეთვე, პრეტენდენტმა ნათლად უნდა მიუთითოს თუ როგორ მოიცავს დაგეგმვის გუნდი კომპეტენციების ძირითად სფეროებს და ასახოს ურთიერთკავშირი სხვადასხვა კვალიფიკაციის/კომპეტენციების მქონე პირებს შორის;

²³ საუკეთესო საკონკურსო წინადადების გამოვლენისთვის.

²⁴ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით სისტემაში ასატვირთი ინფორმაციის ნუსხა.



- 1.3. §5.2.3-ის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ჩასატარებელ სამუშაოთა ორგანიზების და შესრულების მეთოდური მოსაზრებები და ნაბიჯები;
- 1.4. §5.3-ში მოცემული ჩამონათვალის შესაბამისად, მოსაზრებები ქალაქგანვითარების იდენტიფიცირებულ გამოწვევებსა და დაგეგმვის საჭიროებებზე, განსაკუთრებით კი §5.3.6-ში მოცემულ საკითხებზე;
- 1.5. §5.4-ში აღწერილი მოსამზადებელი კვლევის ფარგლებში, მონაცემების შეგროვების: წყაროები; მეთოდები, სტრუქტურა, შემადგენლობა და შედეგების გამოყენებადობა (კორელაცია), მათ შორის საპროექტო მომსახურების მიღწევასთან.
2. პრეტენდენტის გამოცდილების (საქმიანობის პროფილი; ორგანიზაციული პოტენციალი და სპეციალისტების პროფესიული კვალიფიკაცია) ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც უნდა პასუხობდეს და შეესაბამებოდეს წინამდებარე დოკუმენტში წაყენებულ მოთხოვნებს (იხ. §1.3), მათ შორის:
 - 2.1. შესრულებული სამუშაოების ამსახველი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები;²⁵
 - 2.2. ორგანიზაციის სტრუქტურული მოწყობისა და მენეჯმენტის, ადამიანური რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ამსახველი დოკუმენტაცია, მათ შორის: საოფისე სივრცის, ავეჯისა და აღჭურვილობის, ასევე სხვა უძრავ-მოძრავი ტექნიკის ქონა/ფლობა.²⁶
 - 2.3. პერსონალის პროფესიული რეზიუმეები და კვალიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია, მათ შორის: დიპლომები, სერтиფიკატები, რეკომენდაციის წერილები;
 - 2.4. პერსონალის პროფესიულ საქმიანობაში გამოცდილების ამსახველი დოკუმენტაცია, მათ შორის: შრომითი ხელშეკრულებები და/ან დამოწმებული ცნობები.
3. საპროექტო მომსახურების მიწოდების გეგმა-გრაფიკი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში წაყენებულ მოთხოვნებს (იხ. §5.5), მათ შორის:
 - 3.1. სამუშაოთა წარმართვის ეტაპების რიგითობა;
 - 3.2. ეტაპების და/ან ქვე-ეტაპების ვადები, მომსახურების საერთო ვადის დაცვით.

ტექნიკურ დოკუმენტაციაში ფასის მითითება დაუშვებელია!

3.2. საკონკურსო წინადადების ტექნიკური დოკუმენტაციის ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრით წონები

- ტექნიკური დოკუმენტაცია — 80 %
- ფასი — 20%

3.3. ტექნიკური დოკუმენტაციის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრით წონები

3.3.1. კრიტერიუმები

1. პრეტენდენტის გამოცდილების შესაბამისობა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან:
 - 1.1. ორგანიზაციის მიერ შესრულებული ანალოგიური პროექტების მომზადების კვალიფიციურობა, სირთულე და მასშტაბი, დაგეგმილ სამუშაოებთან მიმართებაში;
 - 1.2. ორგანიზაციის სტრუქტურული მოწყობისა და მენეჯმენტის, პერსონალით დაკომპლექტების, ტექნიკური აღჭურვის დონისა და ფინანსური შესაძლებლობების

²⁵ კონფიდენციალური მასალა მოწოდებულ უნდა იქნას კანონით დადგენილი ფორმით.

²⁶ წებისშეირი კანონით დაშვებული ფორმით.



- ადეკვატურობა შემოთავაზებული მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ სამუშაოებთან მიმართებაში;
- 1.3. დაგეგმვის გუნდის წევრების მიერ შესრულებული პროექტების მომზადების კვალიფიციურობა, სირთულე და მასშტაბი ან/და სხვა გამოცდილება, დაგეგმილ სამუშაოებთან მიმართებაში.
- 1.4. დაგეგმვის გუნდის წევრების კვალიფიკაციის რელევანტურობა და ადეკვატურობა შემოთავაზებული მეთოდოლოგიით მათვის განაწილებულ სამუშაოთა მიმართ, მათი ბიოგრაფიული რეზიუმების (CV), დიპლომების, სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი საბუთებისა და სერტიფიკატების საფუძველზე.
2. სამუშაო გეგმის შესაბამისობისთვის საკონკურსო დოკუმენტაციასთან:
- 2.1. შემოთავაზებული მეთოდოლოგიის საერთო ეფექტიანობა გათვალისწინებულ სამუშაოთა მიმართ და ამ პროცესში საერთაშორისო მიდგომების გამოყენებადობა;
- 2.2. ცალკეულ სამუშაოთა წარმართვის მეთოდიკის შედეგზე ორიენტირებულობა.
3. განხორციელების გეგმა-გრაფიკის შესაბამისობისთვის საკონკურსო დოკუმენტაციასთან:
- 3.1. შემოთავაზებული დეტალური სამუშაო გეგმის, მათ შორის სამუშაოთა წარმართვის ეტაპებისა და/ან ქვე-ეტაპების რაციონალურად და ეფექტიანად დაგეგმვა;
- 3.2. დროითი დანახარჯების ადეკვატურობა და ეფექტიანობა.

3.4. ხვედრითი წონები

1. ორგანიზაციის გმოცდილება — მაქსიმუმ ჯამში 20 ბალი (კრიტერიუმის ხვედრითი წონა 0.2).
- 1.1. ორგანიზაციის მიერ შესრულებული ანალოგიური პროექტების შესაბამისობისთვის — მაქსიმუმ 5 ბალი;
- 1.2. სტრუქტურული მოწყობისა და მენეჯმენტის, პერსონალით დაკომპლექტების, ტექნიკური აღჭურვის დონისა და ფინანსური შესაბამისობისთვის – მაქსიმუმ 5 ბალი;
- 1.3. დაგეგმვის გუნდის წევრების მიერ შესრულებული პროექტების შესაბამისობისთვის – მაქსიმუმ 5 ბალი;
- 1.4. დაგეგმვის გუნდის წევრების კვალიფიკაციის შესაბამისობისთვის – მაქსიმუმ 5 ბალი.
2. დეტალური სამუშაო გეგმის შესაბამისობისთვის — მაქსიმუმ ჯამში 70 ბალი (კრიტერიუმის ხვედრითი წონა 0.7).
- 2.1. სახელმძღვანელო და გასათვალისწინებელი დოკუმენტაცია – მაქსიმუმ 5 ბალი;
- 2.2. დაგეგმვის გუნდის დაკომპლექტების დეტალური აღწერა და მათი კომპეტენციების და გასაწევი სამუშაოს კორელაცია – მაქსიმუმ 5 ბალი;
- 2.3. §5.2.3-ის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ჩასატარებელ სამუშაოთა ორგანიზების და შესრულების მეთოდური მოსაზრებები და ნაბიჯები – მაქსიმუმ 5 ბალი;
- 2.4. §5.3-ში მოცემული ჩამონათვალის შესაბამისად, მოსაზრებები ქალაქანვითარების იდენტიფიცირებულ გამოწვევებსა და დაგეგმვის საჭიროებებზე – მაქსიმუმ 5 ბალი;
- 2.5. §5.4-ში აღწერილი მოსამზადებელი კვლევის ფარგლებში, მონაცემების შეგროვების: წყაროები; მეთოდები, სტრუქტურა, შემადგენლობა და შედეგების გამოყენებადობა (კორელაცია), მათ შორის საპროექტო მომსახურების მიღწევასთან – მაქსიმუმ 50 ბალი ჯამურად; აქედან:
- 2.5.1. კვლევა სგგ კონცეფციის შემუშავებისთვის – მაქსიმუმ 10 ბალი;
- 2.5.2. კვლევა მგგ/გრგ კონცეფციის შემუშავებისთვის – მაქსიმუმ 10 ბალი;
- 2.5.3. მუნიციპალიტეტის ნარკვევის შემუშავებისთვის – მაქსიმუმ 2 ბალი;
- 2.5.4. საბაზისო გეგმის შემუშავებისთვის – მაქსიმუმ 8 ბალი;



- 2.5.5. განვითრების ხედვის შემუშავებისთვის – მაქსიმუმ 10 ბალი;
- 2.5.6. განაშენიანების მართვის რეგლამენტისთვის შემუშავებისთვის – მაქსიმუმ 5 ბალი;
- 2.5.7. საინფორმაციო სისტემის შემუშავებისთვის – მაქსიმუმ 5 ბალი.
3. განხორციელების გეგმა-გრაფიკი - მაქსიმუმ 10 ბალი:
- 3.1. შემოთავაზებული დეტალური სამოქმედო გეგმის, მათ შორის სამუშაოთა წარმართვის ეტაპებისა და/ან ქვე-ეტაპების რაციონალურად და ეფექტურად დაგევგმვა - მაქსიმუმ 5 ბალი;
- 3.2. დროითი დანახარჯების ადეკვატურობა და ეფექტურობა - მაქსიმუმ 5 ბალი.

შეფასებისას კომისიის ყოველი წევრი ცალ-ცალკე აფასებს კრიტერიუმს 0–10 ქულიან დიაპაზონში, ხოლო საბოლოო შეფასება განისაზღვრება კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით



4. ხელშეკრულება (პროექტი)

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №_ _ _

ქ. ბათუმი

— 2019 წ

ერთის მხრივ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (შემდგომში – „შესყიდვები“), წარმოდგენილი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის _____ სახით და მეორეს მხრივ _____, (შემდგომში - „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის _____ სახით, CNT _____ კონკურსის შედეგად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა განახორციელოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება (CPV- 71400000) შემდგომში – „მომსახურება“, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.
- 1.2. შესყიდვის ობიექტია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტაცია. მომსახურების სრული აღწერა მოცემულია დანართში N1, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ელექტრონული კონკურსის - CNT _____ ველში განთავსებული დოკუმენტაციებთან ერთად წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 1.3. მიმწოდებელი ასრულებს, ხოლო შემსყიდველი ღებულობს შესრულებულ მომსახურებას და ახდენს მისი ღირებულების ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტის შესაბამისად.
- 1.4. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოეტაიშობა მხარეთა შორის.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

- 2.1. მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს _____ (სიტყვიერად) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
- 2.2. მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
- 2.3. მომსახურების ღირებულების გადახდა მოხდება ეტაპობრივად შემდეგი წესით:
 - 2.3.1. ხელშეკრულების ღირებულების 20% – ტექნიკური პირობებით განსაზღვრული კალენდარული გრაფიკის ეტაპი 2.2.-ის დასრულებიდან, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
 - 2.3.2. ხელშეკრულების ღირებულების 10% – ტექნიკური პირობებით განსაზღვრული კალენდარული გრაფიკის 2.3.-ის, 2.4.-ის და 2.5.-ის ეტაპების დასრულებიდან, 2.5. ეტაპის შუალედური მიღება-ჩაბარების აქტების ხელმოწერიდან და ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
 - 2.3.3. ხელშეკრულების ღირებულების 10% – ტექნიკური პირობებით განსაზღვრული კალენდარული გრაფიკის 2.6. ეტაპის დასრულებიდან, შესაბამისი შუალედური მიღება-



ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

- 2.3.4. ხელშეკრულების ღირებულების 15% - ტექნიკური პირობებით განსაზღვრული კალენდარული გრაფიკის ეტაპი 3.2.-ის დასრულებიდან, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 2.3.5. ხელშეკრულების ღირებულების 25% - ტექნიკური პირობებით განსაზღვრული კალენდარული გრაფიკის ეტაპი 4.2.-ის დასრულებიდან, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 2.3.6. ხელშეკრულების ღირებულების 15% - ტექნიკური პირობებით განსაზღვრული კალენდარული გრაფიკის ეტაპი 5.2.-ის დასრულებიდან, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 2.3.7. ხელშეკრულების ღირებულების 5% - ტექნიკური პირობებით განსაზღვრული კალენდარული გრაფიკის ეტაპი 6.2.-ის დასრულებიდან, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 2.4. მიმწოდებლის მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ შემსყიდველისადმი შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, მომსახურების შესრულების შესახებ შესაბამისი დოკუმენტების დართვით;
- 2.5. შემსყიდველი გაწეული მომსახურების თითოეული ეტაპის დასრულების შემდეგ ახდენს გაწეული მომსახურების ღირებულების 10%-ის დაკავებას, შემდგომი ეტაპის მიღება-ჩაბარებამდე, ტექნიკური პირობების მიხედვით მომსახურების დადგენილი ხარისხის უზრუნველსაყოფად;
- 2.6. თუ მიმწოდებლის მიერ შედგენილ თითოეული ეტაპის შედეგი დოკუმენტაცია გამოიწვევს იმ შემდგომი ეტაპის შესრულებაში ხარვეზებს და/ან მნიშვნელოვნად შეცვლის ხსენებული ეტაპის მომსახურების მოცულობას, ხასიათს, შინაარსს, მაშინ ამ ხელშეკრულების 2.5 პუნქტით დაკავებული 10%-ის ანაზღაურება არ მოხდება, გარდა ობიექტური მიზეზით გამოწვეული შემთხვევებისა, რომელიც უნდა დადასტურდეს შემსყიდველის მიერ დოკუმენტურად;
- 2.7. ამ ხელშეკრულების 2.6. პუნქტით დაკავებული 10%-ის აუნაზღაურებლობა შემსყიდველის მხრიდან, მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შესაბამისი ეტაპის დოკუმენტაციის შესაბამისობაში დაუყოვნებლივ მოყვანის ვალდებულებისაგან.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

- 3.1. შემსყიდველი მისი წარმომადგენლის მეშვეობით ახდენს შესრულებული მომსახურების ინსპექტირებას;
- 3.2. მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ მომსახურებაზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ;
- 3.3. მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური სამუალებებით;
- 3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;
- 3.5. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხრიდან კონტროლს, შესრულებული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას და ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს ქ. ბათუმის



მუნიციპალიტეტის – – – – –. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების წებისმიერ ეტაპზე და წებისმიერ დროს ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიანიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სხვა თანამშრომელს ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე წებისმიერ სხვა პირს. შემსყიდველის ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს მიმწოდებლის არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობას და იგი ძალაში შედის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

- 3.6. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხრიდან კონტროლის, შესრულებული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილების 3.5. პუნქტის შესაბამისად შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირზე მინიჭების შემდეგ ასეთი უფლებამოსილების მინიჭებამდე შესრულებული მომსახურების კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების შედეგები და გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.
4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
- 4.1. შემსყიდველმა 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღის ვადაში უნდა შეამოწმოს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.
 - 4.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელს განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 15 (თხუთმეტ) სამუშაო დღეს.
 - 4.3. ხელშეკრულების 4.2. პუნქტის შესაბამისად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, შემსყიდველის მიერ 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ხელახალი ინსპექტირება ხორციელდება 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში, რა დროსაც თუ განმეორებით შესრულებული მომსახურება კვლავ არ იქნება შესაბამისობაში ხელშეკრულების პირობებთან ან მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოს მომსახურების წარმოდგენას ხელშეკრულების პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, მომსახურება აღარ დაექვემდებარება მიღებას და შემსყიდველი იმოქმედებს ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად.
 - 4.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.
 - 4.5. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
- 5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს 'სახელმწიფო შესყიდვების შესახებ' საქართველოს კანონის სრული დაცვით.
 - 5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
 - 5.2.1. მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას.
 - 5.2.2. მომსახურების შესრულების დამოწმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.
 - 5.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
 - 5.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.



5.3.2. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5.4.2. დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.5. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების, შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1. ხელშეკრულებით წაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, (ხელშეკრულების კალენდარული გრაფიკით) ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასასამტებლო ხელშეკრულების ფასის 0,02% პროცენტის ოდენობით;

6.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

6.3. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა სრულად შემსყიდველის სასარგებლოდ;

6.4. შემსყიდველი უფლებამოსილია წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირგასასამტებლო გაუქვითოს მიმწოდებელს სახელშეკრულებო ფასიდან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდებარებით მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებული მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

7.6. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად ვადამდე შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს):

7.6.1. თუ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 4.2. პუნქტის შესაბამისად განმეორებით შესრულებული მომსახურება კვლავ არ იქნება ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაში ან მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოს მომსახურების წარმოდგენას ამავე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში;

7.6.2. წაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე აშკარა ხდება, რომ მიმწოდებელი დადგენილ ვადაში ვერ შეასრულებს წაკისრ ვალდებულებას და დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის (შეწყვეტის) საფუძვლები, ხოლო შემსყიდველმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას;



- 7.6.3. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად;
- 7.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 7.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.
- 7.9. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.
8. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები
- 8.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დანართის შესაბამისად;
- 8.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2022 წლის 25 აპრილამდე პერიოდი.
9. ფორს-მაჟორული სიტუაციები
- 9.1. მხარები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
- 9.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს- მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.
- 9.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყონებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.
10. ხელშეკრულების შესრულების გარანტია
- 10.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - საბანკო გარანტია, გაცემული _____ ს მიერ. (№_____);
- 10.2. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფაზე _____ ს მიერ მიმწოდებელზე გაცემული საბანკო გარანტია №_____ ძალაშია _____ წლის _____ ჩათვლით.
11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
- 11.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
- 11.2. თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდვები და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
12. გადასახადები და ბაჟები



12.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

13. შეტყობინება

13.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

13.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელიც უფრო გვიან დგება.

14. სხვა პირობები

14.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

14.2. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ქვე-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (ქვე-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). ქვე-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

14.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლის მიერ დადებული ყველა ქვე-კონტრაქტის ასლი, უნდა წარედგინოს შემსყიდველს არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

14.4. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი ქვე-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14.5. საბოლოო პროდუქტი (ნამუშევარი) ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, გადადის შემსყიდველის საკუთრებაში, საავტორო უფლებების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

14.6. ხელშეკრულება ძალაში შედის, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი
ორგანო

მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25 ს/3
245576826;

ბანკის დასახელება-სახელმწიფო ხაზინა ბ/კ:
TRESGE22

ანგ. №GE24NB0330100200165022

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი



5. ტექნიკური პირობები

5.1. აღწერა

წინამდებარე ტექნიკური პირობების კომპლექსურობა განპირობებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალაქანვითარების გამოწვევებითა, საქართველოში დაგევმვის ახალი კანონმდებლობის ამოქმედებითა და სათანადო დოკუმენტების კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის არაერთგვაროვანი გამოცდილებით.

საკონკურსო დოკუმენტაციის შემუშავებისას გაანალიზებულია და გათვალისწინებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების მიმდინარე ვითარება, არსებული პოლიტიკური, სტრატეგიული თუ მარეგლამენტირებელი დოკუმენტები და აგრეთვე საერთაშორისო და ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკა ხსნებულ პროცესში და ამის საფუძველზე მოცემულია კომპლექსური პირობები ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის მომზადებისთვის, როგორც სავალდებულო სახელმძღვანელო დაგეგმვის განმახორციელებელთათვის.

ტექნიკური პირობების დანიშნულებაა შესყიდვებისთვის და მიმწოდებლისთვის განსაზღვროს შესასყიდი დოკუმენტაციის შემუშავებაში აუცილებელი სახელმძღვანელო პირობები (მითითებები და მეთოდები) ორივე ტაქსონომიური დონის გეგმების შემუშავებისთვის საჭირო მოსამზადებელი კვლევების ჩატარების, შესაბამისი შედეგების მიწოდებისა და მათ საფუძველზე კონცეფციების მომზადებისთვის. უშუალოდ გეგმების შემუშავების ტექნიკური პირობები განისაზღვრება შესაბამისი შესყიდვის ფარგლებში.

ტექნიკური პირობების შედეგენა გათვალისწინებულია დაგეგმვაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესასყიდი დოკუმენტაციის შემუშავების საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების მოთხოვნებით, ²⁷ როგორც საკონკურსო დოკუმენტაციის განუყოფელი ნაწილი და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დანართი. მისი ნაწილია (მოიცავს) გეგმების შემუშავების წესით გათვალისწინებული დავალება გეგმების შემუშავების თაობაზე. ²⁸

5.2. დაგეგმვის პროცესის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები

დაგეგმვა არის საქმიანობა, რომელიც არეგულირებს მუნიციპალიტეტის დონეზე ტერიტორი(ებ)ის ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის ფორმირების, ასევე სივრცითი განვითარების პოლიტიკისა და მირითადი პირობების ფორმირებას (სივრცითი განვითარება), ხოლო დასახლების დონეზე — მიწათსარებლობის (ტერიტორიის გამოყენების) და განაშენიანების რეგულირების პირობების, ინფრასტრუქტურის, კონომიკური განვითარების განსახლების სივრცით ასპექტებსა და საკითხებს (განაშენიანების მართვა).

დაგეგმვა საქართველოში ხორციელდება ინტეგრირებული გეგმებისა და დარგობრივი გეგმების მეშვეობით. ²⁹ სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის გეგმები არის ინტეგრირებული დოკუმენტები, რომლებიც თავს უყრის, შეაჯერებს დარგობრივ გეგმებს და ურთიერთთავსებადს ხდის მათ, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს როგორც მოსამზადებელი კვლევების და კონცეფციების შედეგისას, ისე გეგმების შემუშავების, განხილვის, შეთანხმებისა და დამტკიცების პროცესში. ყოველივე ეს უნდა განხორციელდეს მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვითა და საჯარო და კერძო ინტერესების შეჯერებისა და შეთანხმების საფუძველზე.

დაგეგმვაში მოქმედებს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ურთიერთშესვედრი დინების პრინციპი, და დაგეგმვაზე უფლებამოსილი სახელმწიფო, თუ ადგილობრივი ორგანოები პასუხისმგებელნი არიან დაგეგმვის დოკუმენტების ურთიერთთავსებადობაზე. შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ადგილობრივი პირობების შესაბამისად უნდა

²⁷ რეფ. #02: მუხლი 20 და 24; რეფ. #03: მუხლი 10² და 13; რეფ. #03: მუხლი 6.

²⁸ რეფ. #05: მუხლი 6.


²⁹ რეფ. #02: მუხლი 6.



დააზუსტონ უფრო მაღალი დონის დაგეგმვის დოკუმენტების მოთხოვნები და შეაჯერონ დაგეგმვის ადგილობრივ მიზნებთან.

დაგეგმვის პროცესი იწყება (ინიცირება ხორციელდება) მუნიციპალიტეტის დაგეგმვაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ (ამ შემთხვევაში ბათუმის მერია) დაგეგმვის საჭიროების (§5.2.4) დასაბუთებით. მერიის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება დაგეგმვა განხორციელდეს ფიზიკურ, კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე სახელმწიფო დაკვეთის გაცემის საფუძველზე, კონკურსის საშუალებით, ³⁰ და მომზადებულია წინამდებარე დოკუმენტი, როგორც დაგეგმვის განხორციელების ძირითადი სახელმძღვანელო პირობები.

5.2.1. დაგეგმვის ტიპები და იერარქია



ცხრილი 3. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის იერარქია და ურთიერთმიმართება

კოდექსის შესაბამისად, საქართველოში მოქმედებს სივრცის დაგეგმებისა და ქალაქთშენებლობითი გეგმების შემდეგი იერარქია: ³¹

- ა) სივრცის დაგეგმარების გეგმები. მათ მიეკუთვნება:
- ა.ა) საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმა;
- ა.ბ) ავტონომიური რესპუბლიკის სივრცის დაგეგმარების გეგმა;
- ა.გ) მულტიმუნიციპალური/მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა;
- ბ) ქალაქთშენებლობითი გეგმები. მათ მიეკუთვნება:
- ბ.ა) გენერალური გეგმა;
- ბ.ბ) განაშენიანების გეგმა;
- ბ.გ) განაშენიანების დეტალური გეგმა.

„ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გეგმები არის ზედა ტაქსონომიური დონე, რომლითაც ხორციელდება ტერიტორიების სივრცითი განვითარება,³² ხოლო „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გეგმები არის ქვედა ტაქსონომიური დონე, რომლითაც ხორციელდება განაშენიანების მართვა. ³³

„ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გეგმა არის განაშენიანების მართვის მოსამზადებელი, ხოლო „ბ.ბ“-„ბ.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გეგმა – განაშენიანების მართვის სავალდებულო ხასიათის დოკუმენტი.

გეგმების მოთხოვნების შესრულება წებისმიერი პირისთვის სავალდებულოა.

³⁰ რეფ. #02: მუხლი 47

³¹ რეფ. #02: მუხლი 5

³² ქველი ტერმინია – სივრცითი მოწყობა;

³³ ქველი ტერმინია – მიწათსარგებლობა;



5.2.2. საპროექტო მომსახურების მიზანი, შესამუშავებელი დოკუმენტები და მათი ურთიერთმიმართება

საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზანია დაგეგმვის ზემოაღნიშნული ყველა ასპექტის გათვალისწინებით, ქ. ბათუმის სივრცითი განვითარების საერთო და შეჯერებული ხედვის ჩამოყალიბება, შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება, დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავებისთვის შესაბამისი საბაზისო მონაცემებისა და დარგობრივი კვლევების განხორციელება, რათა მიღებულ იქნას საბოლოო შედეგი — ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტები (იხ. ქვევით) და მიღწეულ იქნას შემდგომ ეტაპზე ქ. ბათუმის ნაშენი ტერიტორიების განაშენიანების (დეტალური) გეგმ(ებ)ის (გ(დ)გ) შემუშავების შესაძლებლობა.

5.2.2.1. საპროექტო მომსახურების შედეგი

წინამდებარე ტექნიკური პირობების საფუძველზე, უნდა მომზადდეს და მიეწოდოს შემსყიდველს შემდეგი დოკუმენტები:

- 1) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა (სდგ);
- 2) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმა (გენგეგმა);
- 3) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა (დსს).

კოდექსით დადგენილი ინტეგრირებული გეგმების სახით.³⁴

5.2.2.1.1. შუალედური დოკუმენტები

საპროექტო მომსახურების მიწოდების პერიოდში, ზემოაღნიშნულ ყველა კომპონენტზე უნდა მომზადდეს და მიეწოდოს შემსყიდველს შუალედური დოკუმენტები. ესენია:

1. გეგმარებითი ერთეულების კვლევის შედეგები:
 - 1.1. საბაზისო მონაცემები:
 - 1.1.1. ბათუმის მუნიციპალიტეტის სდგ-თვის;
 - 1.1.2. ბათუმის გენგეგმისთვის;
 - 1.1.3. ბათუმის ნაშენი ტერიტორიების განაშენიანების (დეტალური) გეგმ(ებ)ისთვის.
 - 1.2. ბათუმის ურბანული განვითარების ინდიკატორების სისტემა (მათ შორის მისი წარმოების წესი);
 - 1.3. ბათუმის ტერიტორიების განვითარების შეზღუდვის დოკუმენტი;
 - 1.4. ბათუმის ფუნქციის დივერსიფიკაციის კვლევის ანგარიში;
 - 1.5. ბათუმის განაშენიანების მართვის რეგლამენტში წამახალისებელი ზონირების გამოყენების შესაძლებლობების კვლევის ანგარიში;³⁵
 - 1.6. ბათუმის მუნიციპალიტეტის დაგეგმვის საინფორმაციო სისტემის შედგენისა და წარმოების წესის შემუშავებისთვის საჭირო საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების კვლევის ანგარიში.
2. ბათუმის მუნიციპალიტეტის ხედვის განაცხადი, სტრატეგიის განაცხადი³⁶ და მათი სიცოცხლისუნარიანობის შეფასების ანგარიში;
3. სკოპინგისა და სგშ-ის ანგარიშები;

³⁴ საჭიროების შემთხვევაში მათგან შესაძლებელია გამოცალკევდეს და დამოუკიდებელ გეგმად დამუშავდეს/მიეწოდოს შემსყიდველს დარგობრივი მიმართულებები (მაგ. კონკრეტური განვითარება; ტრანსპორტის განვითარება - ტაქსონომიური დონის შესაბამისად).

³⁵ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის და ზონირების რეგლამენტირების საერთაშორისო და ადგილობრივი საუკეთესო პრაქტიკის კვლევის საფუძველზე.

³⁶ მათ შორის ფუნქციის დივერსიფიკაციის სტრატეგია.



4. დაგეგმვის დოკუმენტების კონცეფციები (გეგმების მონახაზები) ³⁷ და მათი ეფექტუანობის შეფასებები:
 - 4.1. ბათუმის მუნიციპალიტეტის სდგ-სთვის;
 - 4.2. ბათუმის გენგეგმისთვის;

5.2.2.2. საპროექტო მომსახურების მიღწევა

საპროექტო მომსახურების მიღწევა უნდა იყოს, მოსამზადებელი კვლევებისა და შემუშავებული გეგმების საფუძველზე, წინამდებარე ტექნიკური პირობების მოთხოვნათა დაცვით, ქ. ბათუმის ნაშენი ტერიტორიების განაშენიანების (დეტალური) გეგმ(ებ)ის (გ(დ)გ) შემუშავების შესაძლებლობა, წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდგომ.

5.2.3. საერთო მითითებები სამუშაოების წარმართვისთვის

გამომდინარე დაგეგმვის პროცესის და დოკუმენტების კომპლექსური ბუნებიდან, მათი შემუშავების მეთოდებში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ინტეგრირებულ, ყოვლისმომცველ და თანმიმდევრულ (კ. წ. ნაბიჯ-ნაბიჯ) მიდგომებს, რაც სავალდებულო უნდა იყოს ყველა მონაწილისა და დაინტერესებული პირისთვის:

5.2.3.1. მოსამზადებელი პერიოდი

5.2.3.1.1. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მხარდაჭერის მოპოვება

დაგეგმვის ეფექტიანობა, მეთოდოლოგიური გამართულობის გარდა, განისაზღვრება ორი მნიშვნელოვანი ურთიერთშემსვედრი ფაქტორით:

1. განვითარების ხედვა (მათ შორის არასასურველი განვითარების პრევენცია) მიღებული და შეთანხმებული უნდა იყოს ყველა ჩართული მხარის მიერ;
2. უნდა არსებობდეს პოლიტიკური ნება და ადმინისტრაციული უნარი გეგმის ამოქმედებისთვის.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, დაგეგმვის პროცესის დასაწყისში მნიშვნელოვანია საზოგადოების და დაინტერესებული მხარეების (სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ფართო საზოგადოება, კერძო სექტორი, ბიზნეს წრეები) წარმომადგენლების საწყის ეტაპზევე ინფორმირება და ჩართვა. მუდმივი დიალოგითა და თანამშრომლობით შესაძლებელი იქნება მათი სურვილების, მოთხოვნილებებისა და საჭიროებების შესწავლა.

ასევე, საჭიროა შესაბამისი პოლიტიკური მხარდაჭერის მიღება როგორც მუნიციპალიტეტის ორგანოებისაგან, ისე ყველა დაინტერესებული სახელმწიფო უწყებისგან. ეს განაპირობებს გარანტირებულ მხარდაჭერასა და ჩართულობას დაგეგმარების მთელი პროცესის განმავლობაში. ამ მიზნით მიმწოდებელმა პირების დღიდან უნდა აწარმოოს გახსნილი პროცესი და ეთანამშრომლოს შემსყიდველს დაგეგმვის მთელს პროცესში.

5.2.3.1.2. პროცესის მართვის პასუხისმგებლობა

დაგეგმვის პროცესში მუნიციპალიტეტის/ქალაქის დონეზე, შემსყიდველის მხრიდან რამდენიმე სტრუქტურული ერთეული იქნება ჩართული. ამდენად, პროცესის შეუფერხებლად და ეფექტიანად

³⁷ კოდექსის მიხედვით „გეგმის კონცეფცია“ არ გულისხმობს ცალკე აღებულ და/ან მხოლოდ „სივრცის განვითარების კონცეფციას“, არამედ უპირველესად გეგმის სამუშაო ვარიანტს – მონაბაზს (შდრ. საერთაშორისო პრაქტიკაში ინგლისური „Draft plan“ და გერმანული „Planentwurf“).



წარმართვისათვის, საწყის ეტაპზევე მკაფიოდ განისაზღვრება მათი მონაწილეობის მანდატი და კასუხისმგებლობა.

წამყვანი როლი ენიჭება ბათუმის მერიის **ქალაქანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურს**, აღნიშნულ სამსახურში შესაძლებელია შემდგომ ჩამოყალიბდეს საპროექტო მომსახურების მიწოდების პროცესზე ზედამხედველი და პასუხისმგებელი ერთეული.³⁸

მერია ასევე ვალდებულია უზრუნველყოს სდგ კონცეფციისა და სდგ-ს კოდექსით გათვალისწინებული საექსპერტო შეფასების ჩატარება, პროცესისგან დამოუკიდებელი ექსპერტის მოწვევის ან საექსპერტო მომსახურების შესყიდვის გზით. საექსპერტო დასკვნის შედეგების გათვალისწინება მიმწოდებლისთვის სავალდებულოა.

5.2.3.1.3. სახელმძღვანელო პრინციპები და ინტერესთა შეჯერება

მიმწოდებელმა მომსახურების ფარგლებში, ხედვის ჩამოყალიბებისა და სტრატეგიის დასახვისას, უნდა იხელმძღვანელოს კოდექსით დადგენილი სახელმძღვანელო პრინციპებით.³⁹ ინტერესთა შეჯერება წარმოებს საჯარო და კერძო ინტერესების, მათ შორის საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობების დაბალანსების გზით.

დაგეგმვის პროცესში უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესისა და კერძო ინტერესის შეწონასწორება და დაბალანსება. საჭიროების შემთხვევაში, ინტერესთა შეჯერების პროცესში წარმოდგენილი და გათვალისწინებული უნდა იქნეს დაგეგმვის ალტერნატიული გადაწყვეტები.⁴⁰

5.2.3.1.4. დაგეგმვის პროცესის ორგანიზაციული ჩარჩოს განსაზღვრა და საჯაროობა

საწყის ეტაპზე უნდა შეიქმნას დაგეგმვის მთლიანი პროცესის ორგანიზაციული ჩარჩო. ამ მიზნით, უნდა ჩატარდეს მიმწოდებლის დაგეგმვის გუნდისა და დაგეგმვაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ ორგანიზებული სამუშაო შეხვედრები. მოწვეული უნდა იყვნენ ყველა დაინტერესებული მხარეები.

დაგეგმვის გუნდის მიერ ორგანიზებული შეხვედრების შედეგად უნდა განხორციელდეს დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჯგუფის ანალიზი და ურთიერთდამოკიდებულებების განსაზღვრა. ამის შედეგად, გამოვლინდება ძირითადი დაინტერესებული მხარეები, რომლებიც ყველაზე აქტიურად იქნებიან ჩართული დაგეგმვის პროცესში. დაგეგმვის გუნდის მიერ უნდა განისაზღვრება მათი ფუნქციები და ურთიერთკავშირები, ჩამოყალიბდეს ინფორმაციის გავრცელებისა და გაცვლის ერთიანი სისტემა.

დაგეგმვის საჯაროობას და დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციას უზრუნველყოფს ბათუმის მერია, რისთვისაც ის მომსახურების შესყიდვის მთელს პერიოდში ოფიციალურ ვებ გვერდზე პროაქტიულად გამოაქვეყნებს ინფორმაციას, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.⁴¹ ასევე საჭიროების შემთხვევაში, ბათუმის მერია უზრუნველყოფს მისთვის მიწოდებულ დოკუმენტებზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი პროცედურების ინიცირებას,⁴² და არსებობის შეთხვევაში საიდუმლო დოკუმენტების დამუშავებას, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.⁴³

თავის მხრივ მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიწოდების მთელს პერიოდში, მინიმუმ ინტერნეტ სოციალური ქსელის სხვადასხვა თავისუფალი რესურსის გამოყენებით, მოსაზრებების პერიოდული შეგროვება და წარმოებული სამუშაოს საჯარო ანგარიშება.

³⁸ მათ წევრებს სასურველია ჰქონდეთ დაგეგმვის, დაგეგმარების, სოციალურ-ეკონომიკური საკითხების, თანამონაწილეობის მეთოდების ცოდნა.

³⁹ რეფ. #02: მუხლი 4-8.

⁴⁰ რეფ. #02: მუხლი 9.

⁴¹ რეფ. #02: მუხლი 13.

⁴² „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დოკუმენტებზე.

⁴³ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დოკუმენტებზე.



თითოეული შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან აუცილებელია დოკუმენტირებულ იქნას შეხვედრის ოქმის გაფორმებით და ფოტოგადაღებით. ოქმს ხელს უნდა აწერდეს მიმწოდებლისა და შემყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლები. შეხვედრის შესახებ მიმწოდებელი შემსყიდველს აცნობებს არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე. თუ შემსყიდველის მხრიდან შეხვედრას ვერ ესწრება წარმომადგენლი, მან ამის თაობაზე უნდა უპასუხოს შეხვედრამდე 1 სამუშაო დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში ოქმს აფორმებს და ამოწმებს მიმწოდებლის წარმომადგენელი.

ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისას გასათვალისწინებელია, რომ ვადები აითვლება სამუშაო დღეების მიხედვით.

5.2.3.2. გეგმების შემუშავების პერიოდი

მოსამზადებელი პერიოდის მითითებების გათვალისწინებით, პრეტენდენტმა საკონკურსო წინადადების ტექნიკურ დოკუმენტაციაში უნდა მოამზადოს საპროექტო მომსახურების მიწოდების ფარგლებში სამუშაოთა წარმართვის დეტალური სამოქმედო გეგმა (წერ. 3.1.1, 3.1.2), ქვემოთ მოცემული მითითებების დაცვით:

5.2.3.2.1. ფაზა I — პირველადი (საწყისი) მონაცემები

პირველ ფაზაში კამერალურად წარმოებს გეგმარებითი ერთეულის ფარგლებში ინტეგრირებული წერილობითი და გრაფიკული მონაცემების შეგროვება არსებული მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი სფეროდან. მონაცემთა იერარქიულობისა და მრავალფეროვნების პირობებში, ქალაქის ცალკეული ნაწილების დაგეგმვისა საჭიროებების იდენტიფიცირება საჭიროებს სწორ სისტემატიზაციას (მაგ. ზოგადი და დეტალური საჭიროების გამიჯვნა). ამისათვის, საბაზისო მონაცემების შეგროვება და ანალიზიც უნდა წარიმართოს სხვადასხვა იერარქიულ დონეზე, ამისათვის, მთლიანი გეგმარებითი ერთეული (ამ შემთხვევაში ქალაქი ადმინისტრაციული საზღვრებში), უნდა დაიყოს შემადგენელ მსხვილ საბალანსო ერთეულებად (რაიონი და/ან უბანი),⁴⁴ ხოლო ეს უკანასკნელი დაიყოს უმარტივეს საბალანსო ერთეულებად (კვარტალი და/ან სამეზობლო).⁴⁵ უმარტივესი საბალანსო ერთეულები ამავდროულად უნდა განიხილებოდეს გდგ გეგმარებით ერთეულებად, რომლებზეც შესაძლებელი უნდა იყოს შემდგომ გდგ დამუშავება (წერ. 5.2.2.2).

ამის შემდგომ, მიმწოდებელმა უნდა შეაფასოს თუ რა მონაცემები და აუცილებელი ინფორმაცია აკლია თითოეულ საბალანსო ერთეულში და შეადგინოს გეგმა სამუშაოების საველე ფაზისთვის.

5.2.3.2.2. ფაზა II — საველე სამუშაო და მონაცემთა ანალიზი

I ფაზაში შედგენილი შეფასებისა და სამუშაო გეგმის საფუძველზე უნდა ჩატარდეს სისტემური საველე სამუშაო(ები), რომელიც ერთის მხრივ ორიენტირებული იქნება კვლევებში მოყვანილი ინფორმაციისა და მითითებების/რეკომენდაციების გადამოწმებაზე და მეორეს მხრივ კამერალურად მიუწვდომელი არსებული მონაცემების შეგროვებაზე, რომელიც მნიშვნელოვანია დაგეგმვისთვის.

საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ, მიმწოდებელი ზედმიწვნით გადაამოწმებს მიღებულ მონაცემებს (რეფერენსირება) და დასრულებს შედეგების ანალიზით. ანალიზი უნდა განხორციელდეს წერ. 4.2.1.1 მოთხოვნათა შესაბამისად.

ამავე ფაზაში ინერგება ინდიკატორების სისტემა (წერ. 4.2.1.1) და სრულდება ქალაქის სხარტი სივრცითი ანალიზი — ქალაქის განვითარების დინამიური პროცესის და სივრცით-ტერიტორიულ

⁴⁴ აյ არ იგულისხმება ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულები, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ბათუმი უკვე იყოფა ადმინისტრაციულ ერთეულებად, რაც თავისი მასშტაბით შეიძლება შეესაბამებოდეს როგორც რაიონის, ისე უბნის ტაქსონმიურ დონეს. თუ დაგეგმვის გუნდი, თავის კონცეფციაში შემოთავაზებულ საბალანსო ერთეულებს გარდაქმნის ქალაქის ადმინისტრაციულ მოწყობასაც, საქორთო სათანადო დასაბუთების გაკეთება.

⁴⁵ იმ პირობით, რომ უმარტივესი საბალანსო ერთეულები უნდა აერთიანებდეს ამავე სივრცის მომხმარებელთა პომოვნეურ ინტერესებს და არ უნდა ავრიოთ ის ზელოკალურ ინტერესებთან, რისთვისაც არსებობს უფრო მსხვილი საბალანსო ერთეულები.



სტრუქტურის ინტერპრეტაცია ტექსტური და გრაფიკული მასალებით (კარტოგრაფიული რუკებით, გეგმებით, სქემებით – გვ. 4.2.1.2). მათი შესაძლო თემატური არე მოცემულია გვ. 4.2.

სხარტი სივრცითი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ძირითადი ურბანული სტრუქტურული ელემენტების გამოყოფა. სივრცითი ანალიზი უფრო მარტივად გასაგებს ხდის პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებისათვის ქალაქის თანამედროვე მდგომარეობას. მასში კომპლექსურადაა წარმოდგენილი არსებული რეალობები. ის ეფექტიანი საფუძველია გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობების დაგეგმვისა და მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრისათვის.

მოპოებული ინფორმაცია ქალაქის არსებული მდგომარეობის შესახებ უნდა დამუშავდეს გის ტექნოლოგიების გამოყენებით.⁴⁶ ამავე ფაზაში მიმწოდებელს მოეთხოვება დადგენილი მნიშვნელოვანი ასპექტების გარდაქმნა დაგეგმარების ამოცანებად.

5.2.3.2.1. ფაზა III — გეგმების მონახაზები (კონცეფციები)

წინა ეტაპზე მოძიებული და გაანალიზებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს შეჯერებული განვითარების ხედვა და განვითარების სტრატეგია, როგორც მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითრებისთვის, ისე ქალაქის განაშენიანების მართვისთვის. მათი საშუალებით პასუხი გაეცემა შეკითხვას – „როგორ ბათუმს ვხედავთ მომავალში?“ აქ უმთავრესია რეალისტური მიდგომა და მიზნების მიღწევადობა. ამისათვის რეკომენდირებულია საშუალო ვადიანი მიზნების დასახვა, თუმცა აღნიშნული საბოლოოდ მაინც გამომდინარეობს ქალაქის ეკონომიკური და/ან დემოგრაფიული ზრდის ტემპებიდან, რომლის დინამიკაც უნდა იქნას ნაკვლევი წინა ეტაპზე და მოხდეს განვითარების პროგნოზირება.

განვითარების ხედვისა და სტრატეგიის ფორმირების პროცესში აქტიურად უნდა იყოს ჩართული ძირითადი დაინტერესებული მხარეები. ამ საქმიანობის პროცესში მიზანშეწონილია ერთობლივი განხილვის მიზნით, სამუშაო შეხვედრების ჩატარება დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. ამ მიზნით რეკომენდირებულია ე. წ. „ინტენსიური სემინარის“⁴⁷ მეთოდით სამუშაო შეხვედრების/სემინარების ჩატარება. მასზე მოწვეული მოქალაქეები, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, განსხვავებული დარგის სპეციალისტები, ურბანისტები, კონსულტანტები ურთიერთთანამშრომლობით შეიმუშავებენ მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების შეჯერებულ ხედვასა და სტრატეგიას.

შეთავაზებული განვითარების ზოგად (სტრატეგიულ) მიზნებში პრიორიტეტების დადგენა ადგილობრივი მოსახლეობისა და თვითმართველობის პრეორებისათვის, რაც უნდა ეყრდნობოდეს სოციოლოგიურ კვლევებსა ექსპერტულ ცოდნას. კრიტერიუმები შეიძლება იყოს: პროექტის გადაუდებლობა, სიიაფე, ტექნიკურად ადვილად და/ან სწრაფად განხორციელებადობა, თვალსაჩინოება, სოციალური ეფექტი და ა. შ.

აუცილებელია ობიექტურ რეალობებზე დაფუძნებული ოპტიმალური მასშტაბის, განხორციელების მაღალი შესაძლებლობის მქონე ხედვის შემუშავება. ხედვისა და მიზნების შეფასების და არარეალისტური დათქმების გაცხრილვისთვის გამოყენებულ უნდა იქნას როგორც მინიმუმ: ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შედარებით ანალიზის მეთოდი.⁴⁸

საბოლოოდ განვითარების ხედვა და განვითარების სტრატეგია საბოლოო სახეს იძენს ხედვისა და სტრატეგიის განაცხადებში (იხ. გვ. 4.3).

შეჯერებული განვითარების ხედვისა და სტრატეგიის, და გეგმების შემუშავების წესის გათვალისწინებით, მიმწოდებელს ევალება კონკრეტული სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის გადაწყვეტების⁴⁹ ჩამოყალიბება: სდგ და გენგეგმის მონახაზებში, სადაც ასახული იქნება წინამდებარე დავალებით განსაზღვრული ერთიანი მახასიათებლები.

⁴⁶ იხ. გვ. 4.6.

⁴⁷ საერთაშორისო პრაქტიკაში — Design Charrette

⁴⁸ საერთაშორისო პრაქტიკაში — SWOT.

⁴⁹ მათ შორის მინიმუმ ორი ალტერნატივის განხილვით ორივე დონეზე.



მიმწოდებელს მოეთხოვება მონახაზების პირველი სამუშაო ვერსიის შედეგების გადამოწმება შემსყიდველთან, ⁵⁰ დაინტერესებულ ადმინისტრაციულ ორგანოებთან თუ კერძო პირებთან/საზოგადოებასთან და მათგან მიღებული შენიშვნების/მითითებების აღრიცხვა და გათვალისწინება.

5.2.3.2.2. ფაზა IV — გეგმები

მიმწოდებელს ევალება გეგმების დამუშავება საბოლოო ფორმატში, რომლის შინაარსიც აღწერილია §5.4.5. აღნიშნული მან უნდა განახორციელოს III ფაზის ფარგლებში შედგენილი კონცეფციების გაუმჯობესება/დახვეწის გზით, უნდა მოიცეს, როგორც ფართო საზოგადოების, ასევე დაინტერესებული ადმინისტრაციული ორგანოებისგან ⁵¹ მიღებული ინფორმაცია/შენიშვნები და დაიცვას კოდექსითა, გეგმების შემუშავების წესით დადგენილი მოთხოვნები და საერთაშორისო პრაქტიკაში დაკვიდრებული უმაღლესი ხარისხის სტანდარტები.

გეგმების მონახაზებისგან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონცეფციის დამტკიცების შემდეგ რადიკალურად შეცვლება საზოგადოებრივი აზრი და/ან დაგეგმვის საჭიროებები, რაც ობიექტურად ვერ იქნებ(ოდ)ა დაზღვეული ტერიტორიათა განვითარების დროებით შეზღუდვის დოკუმენტით (§5.4.2.2), და იმ დოზით, რაც არსებითად არ შეცვლის ზედა დონის გეგმის მონახაზის და/ან სგშ ანგარიშის შინაარს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯერ უნდა გადამუშავდეს გეგმის მონახაზი ცვლილების ასახვის მიზნით, თანმდევი პროცედურების დაცვით და შემდგომ გაგრძელდეს გეგმაზე მუშაობა.

5.2.4. ანგარიშების წარდგენის ფორმა და მახასიათებლები

კვლევის და დაგეგმვის პროცესში, პირველადი და საბოლოო შედეგები (§5.2.2.1.1), როგორც §5.2.3.1-შია მოთხოვნილი, განხილულ უნდა იქნეს დაინტერესებულ მხარეებთან და უნდა ასახავდეს დაინტერესებული მხარეების რელევანტურ მოსაზრებებსა და კომენტარებს შესაბამის სამუშაოთა ანგარიშებში. სამუშაოთა ანგარიშები უნდა მომზადდეს ალბომის სახით, სადაც გაერთიანდება კვლევის და/ან დაგეგმვის პროცესის რელევანტური კომპონენტები.

5.2.4.1. ფორმა

ალბომი მზადდება მატერიალური და ელექტრონული ფორმით. მომსახურების ყოველ ეტაპზე მომზადებული ანგარიშის პირველადი ჩაბარების შემთხვევაში, წარდგენის ფორმა დასაშვებია იყოს მხოლოდ ელექტრონული. გარდა იმ შეთხვევისა, როდესაც შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ იქნება ცალკეული ნაწილების მატერიალური სახით წარდგენა. საბოლოო ანგარიშების წარდგენა სავალდებულოა ორივე ფორმით, მინიმუმ თითო ეგზემპლარი. შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი ეგზემპლარების წარდგენა, არაუმეტეს გონივრული საჭიროებისა.

მატერიალური ფორმის ალბომი უნდა მომზადდეს შესაბამისი ფორმატის ქაღალდზე ამობეჭდვითა და სათანადო აკინძვით. ელექტრონული ფორმის ალბომის მომზადების (აწყობის, გაფორმების და/ან დაკაბადონების) პროგრამული უზრუნველყოფა შეიძლება იყოს ნებისმიერი და წარდგენის საბოლოო ფორმატია — PDF, ⁵² გარდა იმ შეთხვევისა, როდესაც წინამდებარე დოკუმენტით მოთხოვნილია კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის და ფაილის ფორმატის გამოყენება. დაუშვებელია ფაილების დაცვის მექანიზმის გამოყენება შემსყიდველთან შეთანხმების გარეშე. ელექტრონული ფორმის წარდგენა ხდება კომპაქტ დისკ(ებ)ის და/ან მეხსიერების ბარათ(ებ)ის მეშვეობით.

⁵⁰ მათ შორის კოდექსით სდგ კონცეფციისთვის გათვალისწინებული საექსპერტო დასკვნის შენიშვნები/მითითებები.

⁵¹ მათ შორის კოდექსით სდგ კონცეფციისთვის გათვალისწინებული საექსპერტო დასკვნის შენიშვნები/მითითებები.

⁵² „Portable Document Format (PDF)“ — ელექტრონული დოკუმენტების პლატფორმათშორისი ღია სტანდარტის ფაილის ფორმატი.



განსაკუთრებით დიდი ზომის ფაილები დასაშვებია წარდგენილ იქნას მონაცემთა ღრუბლოვანი ბაზის გამოყენებით.⁵³

5.2.4.2. მახასიათებლები

ანგარიშის ძირითადი ინფორმაცია (ალბომის შიგთავსი) მოწოდებული უნდა იყოს ტექსტურ და გრაფიკულ ნაწილებად ⁵⁴ (რუკები, სქემები და/ან სხვა კარტოგრაფიული მასალა). თავის მხრივ ტექსტურ ნაწილს შეიძლება ასევე ქონდეს ილუსტრაციები (ფოტოსურათები, გრაფიკები, მცირე სქემები და მსგავსი).

ტექსტური ნაწილის ქადალდის ფორმატი უნდა იყოს A4. დასაშვებია A3 ფორმატის ჩანართების (ილუსტრაციები, სქემები) გამოყენება, თუმცა არა უმეტეს გვერდების საერთო ოდენობის 25%-სა. წინააღმდეგ შემთხვევაში ან უფრო დიდი ზომის ილუსტრაციების გამოყენებისას, ისინი უნდა მომზადდეს დანართებად, თუმცა ყველა მათგანი იდენტიფიცირებადი უნდა იყოს იმავე ალბომში, სპეციალური აღნიშვნების გამოყენებით. გრაფიკული ნაწილის პლანშეტის ფორმატი უნდა პასუხობდეს §5.4.2.1.2-ში დადგენილ მოთხოვნებს. გრაფიკული ნაწილს უნდა გააჩნდეს შტამპი, სადაც მითითებული უნდა იყოს: გამოყენებული პირობითი აღნიშვნები, პროექტის რევიზიტები, სამუშაოთა დასახელება და მათი შემსრულებელი პასუხისმგებელი სპეციალისტები.

ალბომში ყველა გვერდი, გარდა თავფურცელისა, უნდა დაინომროს. ძირითადი ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს 11 ზომის „Sylfaen“ შრიფტით, დამხმარე ტექსტი — არანაკლებ 8 ზომის იმავე შრიფტით. პწვარების ინტერვალი — 1,0. ტექსტური ნაწილის ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი — 2.54 სმ (მარცხნივ) და 1.5 სმ მარჯვნივ. ტექსტური ნაწილი უნდა იყოს შავ-თეთრი, ხოლო მისი ილუსტრაციები და გრაფიკული ნაწილი — ფერადი.

გრაფიკული ნაწილის არაკარტოგრაფიული სქემები, შესაძლებელია არ აკმაყოფილებდეს საბაზისო რევისტორის გეგმების შემუშავების წესით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა უნდა იძლეოდეს საკმარისს ინფორმაციას მათი ამოკითხვისთვის. გრაფიკული ნაწილის პლანშეტზე ინფორმაციის განაწილებისას გასათვალისწინებელია შემდეგი მოთხოვნები:

- ძირითადი ნახაზი უნდა განთავსდეს ცენტრალურ ნაწილში, მარცხენა კიდიდან – შტამპამდე;
- შტამპი, რელევანტური ინფორმაციით, უნდა განთავსდეს მარჯვენა მხარეს ვერტიკალურ ზოლად;
- ძირითად ნახაზს შესაძლებელია ქონდეს კონტურული ჩარჩო;
- ანოტაცია არ უნდა ფარავდეს ძირითად ნახაზს, ხოლო ძირითადი ტექსტი არ უნდა იყოს გაბნეული ნახაზზე.

მთლიანი ალბომი დამოწებული უნდა იყოს დაგეგმვის გუნდის მხრიდან ანგარიშზე პასუხისმგებელი სპეციალისტების მიერ (მატერიალური დოკუმენტი – პირადი ხელმოწერით, ხოლო ელექტრონული დოკუმენტი – კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ალბომს უნდა გააჩნდეს:

- 1) ყდა — სადაც მოცემულია: დოკუმენტის დასახელება; პროექტის დასახელება; გეგმარებითი ერთეულის დასახელება; შესრულებულ სამუშაოთა არსი (რეზიუმე); თარიღი და ადგილი.
- 2) სატიტულო გვერდ(ები) — სადაც მოცემულია: კონტრაქტის რეკვიზიტები და სამუშაოთა ეტაპი, რომლის ფარგლებშიც მომზადდა დოკუმენტი; შემსყიდვების და მიმწოდებლის რეკვიზიტები; დოკუმენტზე პასუხისმგებელი პირები; ინფორმაცია დაინტერესებული სახელმწიფო უწყებ(ებ)ის, მუნიციპალური ორგანოების შესახებ და/ან ჩართული მხარეების შესახებ.
- 3) საკვალიფიკაციო გვერდი — სადაც მოცემულია ინფორმაცია: დოკუმენტის შემსრულებელი ფიზიკური პირების კვალიფიკაციის შესახებ.
- 4) რეზიუმე — შესრულებულ სამუშაოთა მოკლე აღწერა და ურთიერთობიმართება წინამდებარე დაგალებასთან და მიმწოდებლის საკუთარ სამოქმედო გეგმასთან (§3.2);

⁵³ საერთაშორისო პრაქტიკაში — „Cloud storage“.

⁵⁴ სადაც ეს მოთხოვნილია წინამდებარე დოკუმენტით.



- 5) ტერმინთა განმარტება (კოდექსისგან განსხვავებული ტერმინები მხოლოდ) და შემოკლებათა ასსნა (არსებობის შემთხვევაში);
- 6) სარჩევი — სადაც მოცემულია ალბომის შინაარსი, გრგ ნაწილების და მათი გვერდებზე მდებარეობის მიხედვით. შინაარსში აუცილებლად გამოიყოფა თავები და ქვეთავები, სურვილისამებრ პარაგრაფები და პუნქტები;
- 7) ძირითადი ტექსტი — ძირითადი ტექსტი უნდა შესრულდეს შესაბამისი ფორმატირებით და სტანდარტული სტრუქტურის დაცვით, IMRAD მოდელის⁵⁵ გამოყენებით: შესავალი, გამოყენებული მეთოდები, შედეგები და შედეგების განხილვა;
- 8) ბიბლიოგრაფია — გამოყენებული ლიტერატურა და/ან ტექსტში დამოწმებული წყაროების ჩამონათვალი, ISO 690 გამოყენებით;
- 9) დანართები — სადაც, არსებობის შემთხვევაში, მოცემულია გრაფიკული ნაწილი, დაკავშირებული დოკუმენტები/წყაროები ან ძირითადი ტექსტის დასაბუთების სხვა მასალები.

დოკუმენტებში მითითებულ წებისმიერ სტატისტიკურ და ფაქტობრივ ინფორმაციას თან უნდა ახლდეს შესაბამისი ოფიციალური წყაროს სრული მითითება, გვერდების ჩათვლით. ელექტრონული ფორმატის შემთხვევაში, შესაბამისი ბმულების მითითებით. აგრეთვე, დოკუმენტირებული ინტერვიუები და შეხვედრები: ოქმებისა და ფოტომასალის სახით.

კვლევისთვის და/ან დაგეგმვისთვის ღირებული ინფორმაციის არ არსებობის და/ან მიუწვდომლობის შემთხვევაშიც კი, აუცილებელია შედეგების ჩვენება და მხოლოდ შემდგომ შესაბამისი მითითებების გავეთება, მათ შორის იმ ლიმიტაცი(ებ)ის ახსნა, რამაც განაპირობა ხსენებული შედეგი.

5.3. დაგეგმვის საჭიროება

კოდექსის მიხედვით, სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის საჭიროება არის სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის მიზნების, ამოცანებისა და ძირითადი პრინციპების საფუძველზე განსაზღვრული პრიორიტეტი და აუცილებლობა, რომლებსაც ადგენს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო. გეგმების შემუშავების წესის თანახმად კი, დაგეგმარების საჭიროების შემთხვევაში, გეგმების შემუშავება აუცილებელია.⁵⁶

სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების ინიცირების თაობაზე გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს საწყის მონაცემებს, რომელშიც იგულისხმება დაგეგმვის საჭიროების აღწერა და დაგეგმილი ცვლილების მიზანი და სავარაუდო გეგმარებითი ერთეული.

5.3.1. დაგეგმვაზე უფლებამოსილი უწყებები, ფიზიკური და იურიდიული პირები

5.3.1.1. დაგეგმვაზე უფლებამოსილი უწყებები

მოქმედი კანონმდებლობით დაგეგმვის უფლებამოსილების მქონე უწყებები არიან მუნიციპალიტეტის ორგანოები. ბათუმის მუნიციპალიტეტის სდგ და ბათუმის გენგეგმის შემუშავების ინიცირებაზე უფლებამოსილი ორგანო არის — ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ხოლო გეგმების დამტკიცებაზე — ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მერიის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია — **ქალაქანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური**, რომელიც მართავს საპროექტო მომსახურების მიწოდების მთლიან პროცესს. მის ზედამხედველობას ახორციელებს ბათუმის მერი, უშუალოდ და/ან საამისოდ უფლებამოსილი მოადგილის მეშვეობით.

5.3.1.2. ფიზიკური და იურიდიული პირები

⁵⁵ IMRAD აკრონიმია და ასახავს აკადემიური ანგარიშის სტრუქტურას: შესავალი (Introduction), კვლევის მეთოდები (Methods), შედეგები (Results and) და შედეგების განხილვა (Discussion) - (Swales and Peak 1994).

⁵⁶ რეფ. #05, მუხლი 4 და 5.



მერიის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება დაგეგმვა განხორციელდეს კერძო სამართლის სუბიექტზე დაკვეთის გაცემის საფუძველზე, კონკურსის საშუალებით. პრეტენდენტი შესაძლებელია იყოს ერთი იურიდიული პირის სახით წარმოდგენილი, თუ ის დააკმაყოფილებს ყველა საკვალიფიკაციო მოთხოვნას (§1.3).

5.3.2. დაინტერესებული იურიდიული და ფიზიკური პირები

დაინტერესებული სახელმწიფო უწყებები:

- საქართველოს მთავრობიდან:
 - ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს, სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვაზე უფლებამოსილი უწყების სახით;
 - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, მშენებლობის პოლიტიკის დაგეგმვაზე უფლებამოსილი უწყების სახით;
- აჭარის ა. რ. მთავრობიდან: ფინანსთან და ეკონომიკის სამინისტროს, სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტი;

დაინტერესებული ორგანიზაციები: არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციები, რომელთა იდენტიფიცირებაც მოხდება ინტერესთა კვლევის ეტაპზე.

5.3.3. ზოგადი მონაცემები და სამართლებრივი წინაპირობები

ბათუმის შესახებ ზოგადი მონაცემები და სამართლებრივი წინაპირობები იხილეთ ბათუმის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმაში (რეფ.#14 — ციფრული დანართი N1).

5.3.4. განვითარების რეტროსპექტივა

ბათუმის საერთო განვითარების მოკლე ისტორიული ექსკურსი — განვითარების ეტაპები და თანამედროვე ფუნქციურ-გეგმარებითი სტრუქტურის ჩამოყალიბება, მისი ადგილი და როლი საქართველოს და აჭარის განსახლების სისტემაში იხილეთ მოქმედი მგგ წინასაპროექტო კვლევის ანგარიშში (რეფ.#07 — ციფრული დანართი N2);

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიმოხილვა — თვითმმართველობა და იურისდიქცია დეტალურად მოცემულია შემდეგ დოკუმენტებში:

- ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (რეფ.#07);
- ბათუმის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმა (რეფ.#14);
- ბათუმის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდი (10).

ბათუმი ტერიტორიული თვალსაზრისით იყოფა უბნებად, რომელიც მოცემულია (ციფრული დანართი N4);

5.3.5. ბათუმის და მისი ცალკეული ნაწილების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის არსებული დოკუმენტაცია და დარგობრივი პროექტები/პროგრამები

5.3.5.1. არსებული დოკუმენტების მიმოხილვა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციიდან, რაც დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით, მოქმედებს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (2009), ტერიტორიის ცალკეულ ნაწილებზე სხვადასხვა დროს შემუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმები, და განაშენიანების რეგულირების წესები (2012). დეტალური ინფორმაცია და დოკუმენტების მიმოხილვა იხილეთ ბათუმის



ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმაში (რეფ.#14) და ქ. ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებით დავალებაში (რეფ.#10) — ციფრული დანართი N3.

5.3.5.1.1. დაგეგმვის დოკუმენტი (არსებული)

ყველა იერარქიის დოკუმენტის სტატუსი სრულად შემდეგნაირად გამოიყურება:

დოკუმენტი	სტატუსი	შენიშვნა
საქართველოს სივრცითი მოწყობის გენერალური სქემა	არ არსებობს	დაწყებულია მუშაობა, მომზადებულია კონცეპტუალური ხედვა (7)
აჭარის ა. რ. სივრცითი მოწყობის სქემა	შემუშავებულია 2012 წელს	არ არის დამტკიცებული
ბათუმის აგლომერაციის ტრანს-მუნიციპალური სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმა	არ არსებობს	მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს რამდენიმე მუნიციპალიტეტის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ერთობლივ სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგლომერაციული ამოცანების გადასაჭრელად.
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმა	არ არსებობს	
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა	დამტკიცებულია 2009 წელს	შემუშავებულია ადმინისტრაციულ საზღვრებში, შეტანილია ცვლილები უფლებრივი ზონირების დოკუმენტში
ქ. ბათუმის ცალკეული ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმები		დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვა შესაძლებელია ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურისადაც

ცხრილი 4. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტი

5.3.5.1.2. დარგობრივი დოკუმენტ(ები):

დოკუმენტი	სტატუსი	შენიშვნა
ქ. ბათუმის კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დამცავი ზონები	შემუშავებულია 2007 წელს, განახლებულია 2018 წელს (რეფ.#13)	პროექტი მოწონებულია ბათუმის საკურებულოს მიერ 2018 წელს, მაგრამ არ არის დამტკიცებული.
ქ. ბათუმის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა	შემუშავებულია 2007 წელს და განახლებულია მოგვიანებით (რეფ.#11)	მოქმედი კანონმდებლობით მისი რაიმე ფორმით, რომელიმე აღმნისტრაციული ორგანოს მიერ დამტკიცება არ არის გათვალისწინებული. ის მხოლოდ ისტორიული განაშენიანების დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონებში გრძელებით დავალების შემუშავების საფუძველს წარმოადგენს (რეფ.#04: მუხლი 22. პ. 6.).

ცხრილი 5. დარგობრივი დოკუმენტები

5.3.5.1.3. სტრატეგიული დოკუმენტ(ები):

დოკუმენტი	სტატუსი	შენიშვნა
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა	შემუშავებულია და დამტკიცებული	ბათუმის მერია



2018-2021 წლებისთვის	2017-2018 წელს	
----------------------	----------------	--

ცხრილი 6. სტრატეგიული დოკუმენტები

5.3.5.1.4. მაღადაკარგული დოკუმენტები:

დოკუმენტი	სტატუსი	შენიშვნა
„მელი ბათუმის“ ტერიტორიის განვითარების დროებითი შეზღუდვისა და შეზღუდვის პერიოდისათვის ქალაქთშენებლობის რეგულირების განსაკუთრებული რეჟიმის დადგენის შესახებ“	დამტკიცებულია თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 31 იანვარის №6 დადგენილებით	მაღადაკარგულია

ცხრილი 7. მაღადაკარგული დოკუმენტები

არ არსებობს ან ძალიან მწირია ინფორმაცია ქალაქის და მუნიციპალიტეტის განვითარების ცალკეულ ინდიკატორებში, რაც საჭიროებს დეტალური კვლევების განხორციელებას.

5.3.6. ქალაქის ფუნქციის დივერსიფიკაციის საჭიროება

ყოველწლიურად ბათუმის ეკონომიკის დამოკიდებულება ტურიზმზე იზრდება. არსებობს საშიშროება, რომ ბათუმი გახდეს მონოფუნქციური - ერთ სექტორზე დამოკიდებული ქალაქი. მონოფუნქციური ქალაქების ძირითად პრობლემას წარმოადგენს სტრუქტურული უმუშევრობა, ტურიზმის სექტორში შემოსავლების სეზონურობა, სხვა დარგების ნაკლები ტემპით განვითარება და ა.შ., რაც დღის წესრიგში აყენებს ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულების სწრაფი ტემპით განვითარებისა და ახალი სექტორების მოზიდვის აუცილებლობას.

ბათუმის მონოფუნქციურ ქალაქად გადაქცევის რისკი გამოწვეულია ქალაქმაფორმირებელი და ქალაქმომსახურე სფეროების ჰომოგენურობით, რაც მომდინარეობს როგორც ქალაქწარმომქნელი (საბაზისო) დარგ(ები)ს, ისე შემდგომ გაჩენილი დარგების განვითარების მიჯაჭვულობით მხოლოდ ზღვის რესურსთან. ქალაქის მიერ შექმნილი პროდუქტი (საქონელი და/ან მომსახურება), რომელიც იყიდება ქალაქის საზღვრებს გარეთ - ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით, და ქალაქისთვის შექმნილი პროდუქტიც (საქონელი და/ან მომსახურება), რომელიც საკუთრივ ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება, მთლიანდ ზღვის ეკონომიკის ნაწილია.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, დაგემვის საჭიროების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ფუნქციის დივერსიფიკის კვლევა, რამაც უნდა უზრუნველყოს ბათუმის სივრცითი განვითარების სწორი სტრატეგიის განსაზღვრა და შესაბამისად, მდგრადი ურბანული პოლიტიკის დასახვა. დაგეგმვის განმახორციელებლები.

5.4. დავალება გეგმების შემუშავების თაობაზე

მოქმედი კანონმდებლობით, ⁵⁷ გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით დავალება გაიცემა შემდეგ საკითხებზე:

- გეგმარებითი ერთეული;
- გეგმარებითი ერთეულის კვლევა;
- განვითარების ხედვა;
- განვითარების სტრატეგია;
- სიცოცხლისუნარიანობის შეფასება;
- გეგმის კონცეფციის/პროექტის შემადგენლობა და მათი შემუშავების გეგმა-გრაფიკი;

⁵⁷ რევ. #05: მუხლი 6.




ზ) სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების მომზადება (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში).

5.4.1. გეგმარებითი ერთეულები

5.4.1.1. სდგ გეგმარებითი ერთეული


სდგ გეგმარებითი ერთეულია ბათუმის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ საზღვრებში. თუმცა დაგეგმვის საჭიროებიდან გამომდინარე, ზედა დონის მოსამზადებელი კვლევა უნდა ჩატარდეს ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრებიდან, ბათუმის აგლომერაციის ფაქტობრივ საზღვრებამდე ფარგლებში და მასშტაბში.⁵⁸ ცალკეულ კომპონენტებში კი, სამეზობლო რეგიონში. კონკრეტული ფართობი უცნობია.



სურათი I. სიტუაციური რუკა - ბათუმი აჭარის ა. რ. და საქართველოს კონტექსტში. (რუკ. #14)

კვლევის განხორციელების ფარგლებში მიმწოდებელი ვალდებულია დააზუსტოს ზედა დონის კვლევის არე და მასშტაბი, გამომდინარე კვლევის მიზნებიდან და დავალებიდან.


⁵⁸ დარგობრივი კვლევა უნდა განხორციელდეს სამეზობლო რეგიონის გათვალისწინებით (იხ. განმარტებები §1.1.1).



სურათი 2. მოსახლეობის სიმჭიდროვის რუკა. აქარის სივრცითი მოწყობის სქემიდან.

5.4.1.2. გენგეგმის გეგმარებითი ერთეული

გენგეგმის მიზნებისთვის მოსამზადებელი კვლევა უნდა ჩატარდეს ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში — საერთო ფართობით **6494.30** ჰა, საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელმა მონაცემების შეგროვებისას მეზობელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიებიც უნდა მოიცვას.




სურათი 3. ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრები. ბათუმის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმიდან. (რეფ. #14)

5.4.1.3. გგ გეგმარებითი ერთეულების არეალი



გ(დ)გ-ს მიზნებისთვის მოსამზადებელი კვლევა უნდა ჩატარდეს ბათუმის ძველ ადმინისტრაციულ საზღვრებში და გონიო-კვარიათი (ზღვასა და ს-2 საავტომობილო გზას შორის):



სურათი 4. ქ. ბათუმის ადმინისტრაციული საზღვარი 2009 წ მდგომარეობით.

გ(დ)გ მიზნებისთვის კვლევის არეალი წარმოადგენს უმეტესად ნაშენი ტერიტორიების ერთობლიობას, რომელიც მოიცავს როგორც სამშენებლო ტერიტორიებს, ისე არასამშენებლო ტერიტორიებს, შესაბამისი თავისებურები სტრუქტურითა და პარამეტრებით. არეალის გამოყოფის პრიორიტეტულობა განპირობებულია ფიზიკური გარემოს ათვისების მზარდი ტემპებითა და მაღალი მოთხოვნით, თუმცა თავის მხრივ საკვლევი არეალი შემდგომ დაყოფილ უნდა იქნას საბალანსო და გაგმარებით ერთეულებად, სადაც პრიორიტეტულობის მიხედვით დალაგდება გ(დ)გ შემუშავების რიგითობა, გამოვლენილი დაგეგმვის საჭიროების შესაბამისად.

5.4.2. გეგმარებითი ერთეულის კვლევის შედეგები

5.4.2.1. საბაზისო მონაცემები

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ⁵⁹ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დავალების შესაბამისად, ორივე ტაქსონომიური დონის გეგმების კონცეფციის შემუშავებისათვის ტარდება გეგმარებითი ერთეულის მოსამზადებელი კვლევა, რომელიც გულისხმობს საბაზისო მონაცემების შეგროვებას, ცალკეულ შემთხვევებში მათ ანალიზს, ⁶⁰ და შედეგების ტექსტურ და გრაფიკულ ასახვას. საბაზისო მონაცემები ტექსტურად აისახება მონაცემთა (ინდიკატორთა) მატრიცაში, ხოლო გრაფიკულად - რუკაში (და საჭიროებისამებრ თემატურ რუკებში), რომლის მასშტაბი უნდა შესაბამებოდეს გეგმის შემუშავების მასშტაბს.

მონაცემების შეგროვებამდე, ზედა დონის გეგმარებითი ერთეული (ანუ მუნიციპალიტეტი/ქალაქი) უნდა დაიყოს ლოგიკურ საბალანსო ერთეულებად, გამოკვეთილი ფიზიკურ-ეკონომიკური და/ან ინფრასტრუქტურული საზღვრებით, რომელიც განხორციელდება ერთგვაროვანი მონაცემების შეგროვება/მოპოვება და დამუშავება. საზღვრების გამოყოფის წესი უნდა პასუხობდეს გეგმების

⁵⁹ რეფ. #05: მუხლი 6.

⁶⁰ მონაცემთა ანალიზი უნდა შესრულდეს ყველა იმ შემთხვევაში, თუ ცალკე აღებული მონაცემი არ იძლევა საკმარის საფუძველს სივრცითი დაგეგმვის განსახორციელებლად. ასეთ შემთხვევაში ანალიზი წარმოებს კომპლექსურად, სხვა მონაცემებთან ურთიერთკავშირში, მრავალფაქტორული ანალიზის რომელიმე მეთოდის გამოყენებით.



შემუშავების წესის დანართ N8-ს. საზღვრები მოგვიანებით, დაგეგმარების ეტაპზე, შესაძლებელია დაზუსტდეს.

ამის შემდგომ, საბაზისო მონაცემები უნდა შეგროვდეს ფიზიკური და უფლებრივი გარემოს კონტექსტში, გეგმის ტაქსონომიური დონის გათვალისწინებით. მონაცემები უნდა იყოს სანდო (გადამოწმებადი), მათი სიზუსტე უნდა პასუხობდეს გეგმის შემუშავების მიზნებს და მასშტაბს, გეგმების შემუშავების წესით დადგენილი მინიმალური მახასიათებლების გათვალისწინებით. ⁶¹ ტაქსონომიურ დონეებს შორის მონაცემთა პარალელიზმისა და დუბლირების გამორიცხვის მიზნით, საჭიროა მათი მუდმივი ურთიერთშეფასება და სისტემატიზაცია.

მონაცემების შეგროვებისას, უპირველესად გამოყენებულ უნდა იქნეს უკვე არსებული, ბოლო პერიოდის ვალიდური მონაცემები, რომელიც ხელმისაწვდომია შემსყიდველის ან რომელიმე საჯარო წყაროს მხრიდან. მხოლოდ ამის შემდგომ უნდა განხორციელდეს მონაცემების შევსება საკვლევ არეალში, ზემოაღწერილი მეთოდებით. ⁶² მონაცემების შეგროვებისას, გეგმების შემუშავების წესის რელევანტური დანართების გამოყენება სავალდებულოა: საბაზისო მონაცემთა (ინდიკატორთა) მატრიცა – დანართი N6, ხოლო საბაზისო რუკა – დანართი N7. გადახვევა მოთხოვნებიდან დასაშვებია მხოლოდ დანართში მოცემული დათქმების გათვალისწინებით. რომ მონაცემები არ გროვდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ შესაბამება ტაქსონომიურ დონეს. ⁶³ მონაცემების შეგროვებისას აუცილებელია პროცესის ფოტოფიქსაცია, ხოლო მათი დამუშავებისას ვიზუალიზაციის გამოყენება. ამასთან, დაგეგმვის დონეებისა და დოკუმენტების იერარქიულობიდან გამომდინარე, საჭიროა კვლევის წარმართვა ზედა და ქვედა ტაქსონომიურ დონეებზე. ინტერაქტიულად და საჭიროების შემთხვევაში პარალელურ რეჟიმში. კვლევების მეთოდივაში თანაბარმნიშვნელოვნად და ადეკვატურად უნდა იქნას გამოყენებული კამერალური და საველე მეთოდები. ყველა ეს ასპექტი დეტალურად უნდა იყოს აღწერილი კვლევების ანგარიშებში (იხ. გვ. 5.2.4).

ის ინფორმაცია, რაც წარმოადგენს სახელწმიფო საიდუმლოებას (მაგ. ინფორმაცია ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ქვეყნის ინფრასტრუქტურის სხვა დარგებისა და ობიექტების დაცვის სისტემისა და რკინის შესახებ, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის), ინფორმაციაზე წვდომის დაშვება და ამ ინფორმაციის გამოყენება უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „სახელწმიფო საიდუმლოების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში:

ა) თუ მიმწოდებელს არ გააჩნია წვდომა საიდუმლო ინფორმაციაზე, მან უნდა ჩაანაცვლოს ეს ინფორმაცია საკუთარი დაშვებებით; ⁶⁴

ბ) თუ შემსყიდველსაც არ გააჩნია წვდომა საიდუმლო ინფორმაციაზე, მან უნდა განსაზღვროს დაგეგმვისთვის საჭირო საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვებული სახელმწიფო უწყებ(ებ)ის და/ან მისი/მათი თანამშრომლების მონაწილეობის როლი და ამ ინფორმაციის გამოყენების წესები.

5.4.2.1.1. მონაცემთა მატრიცა და ანალიზი

მონაცემთა მატრიცა უნდა პასუხობდეს, როგორც გეგმების შემუშავების წესის დანართ N6-ის მოთხოვნებს, ასევე იძლეოდეს ყველა იმ მონაცემს, რომელთა ანალიზითა და კორელაციით მიიღება საბალანსო ერთეულების ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვეების ⁶⁵ (გეგმების შემუშავების წესის დანართ N8) ფაქტობრივი მაჩვენებლები.

საბაზისო მონაცემების ანალიზი, გარდა გეგმების შემუშავების წესით გათვალისწინებულისა, უნდა განხორციელდეს უპირველესად იმ მიზნით, რომ გამოვლენილ იქნას ბათუმის მოსახლეობის რაოდენობისა (მათ შორის მაცხოვერებლები და კომიუტერები) და ქალაქის მსხვილი საბალანსო

⁶¹ რეფ. #05: მუხლი 9.

⁶² მომენტული ინფორმაციის შესავსებად და/ან არ არსებული მონაცემების შესაგროვებლად და დასამუშავებლად.

⁶³ ანუ გრივდება ტაქსონომიურ დონის შესაბამისად.

⁶⁴ მაგ. საერთო საქალაქო ინფრასტრუქტურული ქსელის სიმბლავრეების შესახებ მონაცემები ჩაანაცვლოს განვითარებისთვის საჭირო სიმბლავრეების მონაცემით, რაც შემსყიდველს საშუალებას მისცემს თავად განსაზღვროს ქსელის განვითარების შემდგომი საჭიროებები.

⁶⁵ რეფ. #02: მუხლი 53 და რეფ. #05: დანართ N8.



ერთეულების (რაიონი, უბანი/კვარტალი, სამეზობლო) ინფრასტრუქტურის (საინჟინრო-ტექნიკური, სოციალური, სატრანსპორტო, რეკრეაციული: განსაკუთრებით გამწვანებული ტერიტორიების) ურთიერთმიმართება და ამ გზით დადგენილ იქნას ბათუმის სივრცითი განვითარების და განაშენიანების მართვის შემდგომი პარამეტრები. ანალიზი უნდა ავლენდეს ინფრასტრუქტურის რეალური სიმძლავეების და მათი განვითარების შესაძლებლობებს, იძლეოდეს კორელაციაზე დაფუძნებულ დაგეგმარების მითითებებსა და რეკომენდაციებს.

მონაცემთა ანალიზი მოწოდებულ უნდა იქნას შემდეგ მონაცემთა სფეროებზე:

1. გეომორფოლოგია და სეისმიკა;
2. კლიმატი, განსაკუთრებით კლიმატის ცვლილება და შემარბილებელი ღონისძიებები;
3. ეკოლოგია, განსაკუთრებით აკუსტიკური რეჟიმი;
4. განაშენიანების სტრუქტურისა და ფუნქციური დანიშნულების მონაცემები;
5. ინფრასტრუქტურის მონაცემები;⁶⁶
6. სოციალურ-ეკონომიკური მონაცემები;⁶⁷
7. ბათუმის ადმინისტრაციული საზღვარი, ბათუმის უბნების საზღვრები და მათი დაზუსტების საჭიროება;
8. მიწის ნაკვეთების მონაცემები;
9. საბალანსო ერთეულები, გეგმარებითი ერთეულები და ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვეები;⁶⁸
10. სამართლებრივი აქტების მონაცემები;⁶⁹
11. დაინტერესებულ პირთა მონაცემები.⁷⁰

5.4.2.1.2. რუკები

ორივე ტაქსონომიური დონის საბაზისო რუკა ხარისხობრივად უნდა პასუხობდეს გეგმების შემუშავების წესით დადგენილ მოთხოვნებს. საბაზისო რუკების ფორმატები:

1. სდგ-სთვის: A1–A2
2. გენგეგმისთვის: A0
3. გდგ-სთვის: A1

საბაზისო რუკების მასშტაბები უნდა პასუხობდეს ფორმატის ზომას და შეესაბამებოდეს გეგმების შემუშავების წესის დანართ N3-ში მოცემულ რომელიმეს, ტაქსონომიური დონის შესაბამისად. საბაზისო რუკების ციფრული ნაწილი ინტეგრირებულ უნდა იქნეს დაგეგმვის საინფორმაციო სისტემიში (§5.4.2.5).

საბაზისო რუკებზე დაყრდნობით, შესაბამისი ტაქსონომიური დონისთვის ცალ-ცალკე, უნდა მომზადდეს მინიმუმ შემდეგი თემატური რუკები:

ნაწილი	შინაარსი	მახასიათებელი
სიტუაციური რუკა/გეგმა	დაგეგმარების ობიექტის სივრცითი კონტუქსტი	ნახაზის საფუძველია ორთოფოტოსურათი, მისი ყველა მახასიათებლის დაცვით. პროექციის აუცილებელი ელემენტებია: <ul style="list-style-type: none"> • დაგეგმარების ობიექტი (პუნქტირით); • ლოკაციის განმსაზღვრელი ორიენტირები (მირითადი

⁶⁶ გეგმების შემუშავების წესის დანართი N6-ის მე-2 ნაწილი მთლიანად.

⁶⁷ გეგმების შემუშავების წესის დანართი N6-ის მე-3 ნაწილი მთლიანად.

⁶⁸ გეგმების შემუშავების წესის დანართი N5 და N8-ის შესაბამისად.

⁶⁹ გეგმების შემუშავების წესის დანართი N6-ის მე-5 ნაწილი მთლიანად.

⁷⁰ გეგმების შემუშავების წესის დანართი N6-ის მე-6 ნაწილი მთლიანად.



ინტერეს-წერტილები და/ან გზები).		
საზღვრების რუკა/გეგმა	დაგეგმარების საზღვრები	ობიექტის ნახაზის საფუძველია ტოპოგეოდეზიური რუკა/გეგმა (კვლევის დონის შესაბამისად), მისი ყველა მახასიათებლის დაცვით. კვლევის დონის გათვალისწინებით, პროექციის აუცილებელი ელემენტებია: <ul style="list-style-type: none">• ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვარი და მომიჯნავე მუნიციპალიტეტების საზღვრები;• ქალაქის და მისი ნაწილების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ქრონიკლების საზღვრები;⁷¹• ქალაქის ნაშენი და უშენი ტერიტორიების საზღვრები;⁷²• საბაზო ერთულების საზღვრები, სადაც განხორციელდა მონაცემთა შეგროვება/მაღიზი და უნდა დაინერგოს შემდგომ დაგეგმარება;• გდგ გაზმარტითი ერთულების საზღვრები;• ინტერეს-წერტილები (სოციალური ინფრასტრუქტურის, კულტურისა და დასვენების, რელიგიურ-საკულტო, ადმინისტრაციული და სხვა).
ფიზიკური რუკა/გეგმა	გარემოს	ნახაზის საფუძველია საზღვრების რუკა/გეგმა, მისი ყველა მახასიათებლის დაცვით. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებში დამატებით საფუძველია ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა. ტაქსონომიური დონის გათვალისწინებით, პროექციის აუცილებელი ელემენტებია: <ul style="list-style-type: none">• შენობა-ნაგებობები, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერები და შეუსაბამო ობიექტები;<ul style="list-style-type: none">○ ფუნქციური დანიშნულება;○ სართულიანობა;○ ფიზიკური მდგომარეობა;○ ასაკი;○ სამშენებლო კლასი;○ არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულება;○ არსებული ურბანული და ბუნებრივი სივრცითი დომინანტები;○ მნიშვნელოვანი პანორამებისა აღქმის წერტილები;• სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ქსელი, მისი ყველა მახასიათებლის დაცვით;• საინჟინრო ინფრასტრუქტურის ქსელი, მისი ყველა მახასიათებლის დაცვით;• გამწვანებული ტერიტორიების, წყლის ობიექტებისა და ბუნებრივი ფასეულობების საზღვრები;• ბუნებრივი და ტექნოგენური საფრთხეების შემცველი ტერიტორიების საზღვრები, გეოლოგიური/სეისმური და კლიმატურ-კოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით;• ინტერეს-წერტილები (სოციალური ინფრასტრუქტურის; კულტურისა და დასვენების; რელიგიურ-საკულტო; სპორტის, ადმინისტრაციული და სხვა). ცალკე გამოიყოფა გეოლოგიურად, სეისმურად, ჰოლოგიურად გასათვალისწინებელი (მაგ. საფრთხის

⁷¹ რეც. #08

⁷² მონაცემთა შეგროვების მომენტისთვის ფაქტობრივი მდგომარეობით.




უფლებრივი რუკა/გეგმა	გარემოს	შემცველი) ტერიტორიები და უბნები.
		<p>ნაბაზის საფუძველია საზღვრების რუკა/გეგმა და საკადასტრო რუკა, მათი ყველა მახასიათებლის დაცვით:</p> <p>პროექციის აუცილებელი ელემენტებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მონაცემები და დადგენილი რეეისტრის საზღვრები; • არსებული სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების მოქმედების საზღვრები; • სტატისტიკური მონაცემები, მისი ყველა მასარიანებლის დაცვით. • ინტერესთა გამოხატვის და თანამონაწილეობის კვლევის შედეგები

ცხრილი 8. თემატური რუკების მატრიცა.

5.4.2.1.1. ინდიკატორების სისტემა

საბაზისო მონაცემების მონაცემთა მატრიცა ასევე გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც ინდიკატორების ცხრილი, თუმცა ის საჭიროებს შემდგომ შევსებას (განვითარების ხედვისა და სტრატეგიის მიხედვით) და სისტემურ განახლებას. გამომდინარე აქედან, მონაცემთა მატრიცის საფუძველზე, მიმწოდებელმა უნდა შეიმუშავოს ბათუმზე მორგებული ურბანული განვითარების ინდიკატორების სისტემა.

სახელმძღვანელოდ გამოყენებულ უნდა იქნეს გაეროს პროგრამა ჰაბიტატის საქალაქო ინდიკატორების სისტემა და მისი წარმოების წესი, საიდანაც დამატებით შეივსება მონაცემთა მატრიცა.



სურათი 5. ინდიკატორები ინფორმაციული ნაკადების პირამიდაში. დიაგრამა. (10)

ურბანული განვითარების ინდიკატორების სისტემის განხილვა-შეთანხმების შემდეგ, მიმწოდებელმა მომსახურების გაწევის მთელ პერიოდში უნდა უზრუნველყოს მათი შევსება-განახლება, შეთანხმებული წესისვე დაცვით.

5.4.2.2. ტერიტორიების განვითარების შეზღუდვის დოკუმენტი

დოკუმენტი წარმოადგენს დაგეგმვის პროცესის ჰარმონიულად წარმართვის და მონაცემთა სარწმუნოობის შენარჩუნების მნიშვნელოვან წინაპირობას და სამართლებრივ ინსტრუმენტს. მისი გამოყენება წარმოადგენს გასაკუთრებულ ღონისძიებას დაგეგმვის პროცესში და გათვალისწინებულია კოდექსით. დოკუმენტი უნდა შედგებოდეს ტექსტური და გრაფიკული ნაწილებისგან, გ5.2.4-ის მოთხოვნათა შესაბამისად.



გრაფიკული ნაწილის საფუძველია საზღვრების თემატური რუკა/გეგმა, მისი ყველა მახასიათებლის დაცვით და დამატებით უნდა მოიცავდეს გენგეგმის შემუშავების პერიოდისთვის ტერიტორიების განვითარების შეზღუდვის ცალკეულ გეგმარებით ერთეულებს და მათ საზღვრებს;

ტექსტური ნაწილი, თავისი შინაარსით წარმოადგენს ნორმატიულ-სამართლებრივ აქტს და უნდა პასუხობდეს მისთვის დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო შინაარსობრივად მოიცავდეს ტერიტორიების განვითარების შეზღუდვის პერიოდისათვის ქალაქითმშენებლობის რეგულირების განსაკუთრებულ რეჟიმს, მისი მოქმედების ვადებს და პირობებს, რანგირებულს მშენებლობის კლასების შესაბამისად.

5.4.2.3. ფუნქციის დივერსიფიკაციის კვლევა

ნაწილი	შემადგენლობა
საერთო	<ol style="list-style-type: none"> ქალაქის შესახებ მოკლე ისტორიული მიმოხილვა: <ul style="list-style-type: none"> ზოგადი ისტორიული ცნობები; ბათუმში არსებული ურბანული და კონომიკური განვითარების ტენდენციებისა და აქტივობების მიმოხილვა მე-19 საუკუნის დასაწყისიდან 2019 წლის ბოლომდე. მათ შორის: დემოგრაფიული ვითარება, ეთნიკური შემადგენლობა, „პორტო-ფრანკო“ და სავაჭრო ურთიერთობები, ძირითადი მაპროფილებელი ქალაქმაფორმირებელი (საექსპორტო) დარგები კონომიკური სექტორების მიხედვით, ქალაქშენებლობისა და ურბანული განვითარების შესახებ ცნობები; სხვადასხვა რელიგიური კონფესიებისა და ქვეყნების გავლენა ქალაქის კონომიკურ, ურბანულ და კულტურულ განვითარებაზე. ბათუმის ურბანული კონტექსტი და აგლომერაცია <ul style="list-style-type: none"> ქალაქის ტერიტორია და მისი საზღვრები (2009 წლამდე, 2009-2011 წწ., 2011 წლის შემდეგ); ქალაქის ადგილი და როლი განსახლების სისტემაში: ტრანსასაზღვრო, ქვეყნის, ავტონომიის, ბათუმის აგლომერაციის და ტრანს-მუნიციპალურ დონეზე (მათ შორის სანაპირო და აჭარის ტრანს-მუნიციპალური ურთიერთგადამკვეთრი გეგმარებითი ღერძების ჭრილში); ქალაქის ძირითადი ფუნქცია: ქალაქმაფორმირებელი და ქალაქმომსახურე არსებული სფეროები და დარგები (კულტურული მემკვიდრეობა, სოციალურ-კონომიკური ბაზა/პოტენციალი, ტურიზმი, რკინიგადა, ტრანსპორტი და სხვა) დემოგრაფიული მდგომარეობის ანალიზი (2000-დან 2009 წლამდე, 2009-2011 წწ., 2011 წლის შემდეგ). ბათუმის კონომიკური პროფილის ანალიზი <ul style="list-style-type: none"> შპპ; ბათუმის ბიზნეს სექტორისა (ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დამატებული ღირებულება, დასაქმებულთა რაოდენობა, კონომიკა საკუთრების ფორმების მიხედვით) და ბიზნეს რეგისტრის (ბიზნეს სექტორში მოქმედი საწარმოები, უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი საწარმოები) ანალიზი; დასაქმება და მისი ანალიზი ინსტრუმენტი სექტორების, კონომიკური დარგების და მსხვილი დამსაქმებლების მიხედვით; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზი მათ შორის მსხვილი ინვესტორების, კონომიკური სექტორებისა და ქვეყნების მიხედვით; კერძო ინვესტიციების ანალიზი: დინამიკა, საინვესტიციო მაკროპარამეტრები, კერძო ინვესტიციები სექტორების მიხედვით; სახელმწიფო ინვესტიციების ანალიზი: დინამიკა, პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად განხორციელებული სახელმწიფო ინვესტიციები, ინვესტიციების განაწილება დაფინანსების წყაროების შესაბამისად; უძრავი ქონების ფასთა კვლევა, გამსხვილებული კლასიფიკაციით და ფასთა რელიეფი (სორცული მონაცემები სპეციალური აღნიშვნებით დაიტანება საყრდენ გეგმაზე); ფინანსური ინსტრუმენტების მიერ მოზიდული კაპიტალი: დინამიკა, კაპიტალის განაწილება დარგების შესაბამისად.
ბათუმის ქალაქმაფორმირებელი	<ol style="list-style-type: none"> ქალაქმაფორმირებელი სფერო(ები)ს/დარგ(ები)ს მიმოხილვა

ცხრილი 9. ფუნქციის დივერსიფიკაციის კვლევის შემადგენლობა და მოთხოვნები.

5.4.2.4. განაშენიანების მართვის რეგლამენტში წამახალისებელი ზონირების გამოყენების შესაძლებლობების კვლევა

საკანონმდებლო გაწა

⁷³ საგროვაშორისო პრატბების კატეგორია — „Resilience“.



კომპონენტი	შინაარსი	მახასიათებლები	
დაგეგმვის დაწყობრივი ნორმატიული დოკუმენტები	და/ან დაგეგმვის ხასიათის	საკანონმდებლო ნაკლოვანებების შევსება და/ან ხარვეზების აღმოფხვრა	<p>შესწავლილ უნდა იქნეს საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არსებული და/ან შემუშავებული სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ზოგადი და სპეციფიკური, ასევე მასთან დაკავშირებული დარგობრივი დაგეგმვის ან რეგლამენტირების ნორმატიული ხასიათის დოკუმენტები და რეგლამენტები.</p> <p>საუკეთესო შედეგების მქონე, საინტერესო, საჭირო და/ან ასეთად შეფასებული მარგლამენტირებელი მონაცემები (ცალკეული ნორმები; სამართლებრივი პირობები; სხვა მსგავსი მიგნებები) წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილის სახით (ნორმა დანიშნულება ეფექტიანობა).</p>
დაგეგმვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტები		გამოცდილების გამდიდრება	<p>შესწავლილ უნდა იქნეს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (გეგმარებითი დავალებები; ტექნიკური დავალებები და სხვა მსგავსი).</p> <p>ყველაზე ეფექტიანი და/ან ასეთად შეფასებული მონაცემები (ცალკეული სამართლებრივი პირობები; სხვა მსგავსი მიგნებები) წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილის სახით (ნორმა დანიშნულება ეფექტიანობა).</p>
მიწათსარგებლობის რეგლამენტირების ადგილობრივი საუკეთესო გამოცდილება			
მიწათსარგებლობის (ზონირების) გეგმები და ტერიტორიების გამოყენებისა განაშენიანების რეგულირების წესები	და	გამოცდილების გამდიდრება	<p>შესწავლილ უნდა იქნეს საქართველოს ცალკეული ტერიტორიებზე შემუშავებული და/ან დამტკიცებული დაგეგმვის დოკუმენტები და მათი რეგლამენტები (ტექსტური ნაწილები).</p> <p>ყველაზე ეფექტიანი და/ან ასეთად შეფასებული მარგლამენტირებელი მონაცემები (ცალკეული სამართლებრივი პირობები; სხვა მსგავსი მიგნებები) წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილის სახით (ნორმა დანიშნულება ეფექტიანობა).</p>
მიწათსარგებლობის რეგლამენტირების საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება			
მიწათსარგებლობის (ზონირების) დაგეგმვის საერთაშორისო ნორმატიული სახელმძღვანელო ხასიათის დოკუმენტები	და	გამოცდილების გამდიდრება	<p>შესწავლილ უნდა იქნეს საერთაშორისო და/ან განვითარებულ სახელმწიფოთა იურისდიქციებში შემუშავებული და/ან დამტკიცებული მიწათსარგებლობის დაგეგმვის ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტები და რეგლამენტები.</p> <p>ყველაზე ეფექტიანი და/ან ასეთად შეფასებული მარგლამენტირებელი მონაცემები (ცალკეული სამართლებრივი პირობები; სხვა მსგავსი მიგნებები) წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილის სახით (ნორმა დანიშნულება ეფექტიანობა).</p>

ცხრილი 10. საკანონმდებლო ბაზის კვლევის მატრიცა

5.4.2.5. დაგეგმვის საინფორმაციო სისტემის შედგენისა და წარმოების წესის შემუშავებისთვის საჭირო კვლევა

საკანონმდებლო ბაზა		
ნაწილი	დანიშნულება	სარისხობრივი მოთხოვნები
სანდორმაციო სისტემის (სივრცით და/ან რომელიმე დარგობრივი ბაზის) ფორმირების/წარმოების	საკანონმდებლო ნაკლოვანებების შევსება და/ან ხარვეზების	არსებობის შემთხვევაში, შესწავლილ უნდა იქნეს საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არსებული და/ან შემუშავებული ქალაქთმშენებლობითი, ასევე მასთან დაკავშირებული დარგობრივი საინფორმაციო სისტემების ფორმირების/წარმოების ნორმატიული



**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქალაქიანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური**

ნორმატიული დოკუმენტები	ხასიათის აღმოფხვრა	ხასიათის დოკუმენტები (მაგ. საჯარო რეესტრის კადასტრი).
		ყველაზე ეფექტუანი და/ან ასეთად შეფასებული მარგლამენტირებელი მონაცემები (ცალკეული სამართლებრივი პირობები; სხვა მსგავსი მიგნებები) წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილის სახით (ფენა დანიშნულება შემადგენლობა ეფექტიანობა).
კადასტრის წარმოების ადგილობრივი საუკეთესო გამოცდილება		
საქართველოში არსებული დაგეგმვის საინფორმაციო სისტემები	გამოცდილების გამდიდრება	შესწავლილ უნდა იქნეს საქართველოს ცალკეულ ტერიტორიებზე, გის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით შემუშავებული საინფორმაციო სისტემები და მათი ეფექტუანობა, მათ შორის: თბილისის, რუსთავის, ქუთაისის და ბათუმის.
		ყველაზე ეფექტუანი და/ან ასეთად შეფასებული მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილის სახით (ფენა დანიშნულება შემადგენლობა ეფექტიანობა).
კადასტრის წარმოების საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება		
სხვა ქვეყნების და/ან მათი დასახლებების საინფორმაციო სისტემები	გამოცდილების გამდიდრება	შესწავლილ უნდა იქნეს საერთაშორისო და/ან განვითარებულ სახელმწიფოთა იურისძიების გის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით შემუშავებული შემუშავებული და/ან დამტკიცებული, ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომი, საინფორმაციო სისტემები და მათი ეფექტუანობა, მათ შორის: ნიუ იორკის, ლონდონის, ვარშავის, მოსკოვის.
		ყველაზე ეფექტუანი და/ან ასეთად შეფასებული მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილის სახით (ფენა დანიშნულება შემადგენლობა ეფექტიანობა).

ცხრილი 11. კადასტრის შედგენის კვლევის მატრიცა

5.4.3. ხედვა, სტრატეგია, სიცოცხლისუნარიანობა

5.4.3.1. ხედვის განაცხადი

ხედვა. საბაზისო მონაცემებზე დაყრდნობით, წარმოადგენს დაგეგმვაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ, სივრცითი განვითარების და განაშენიანების მართვის დაგეგმვის უმთავრეს წინაპირობას. მასში აისახება მუნიციპალიტეტის სამომავლო სურათი და გამომდინარეობს პოლიტიკა, რაც მთლიანობაში განვითარების წარმმართველ და მასტიმულირებელ ფუნქციას ასრულებს მთლიანად თემისთვის.

სამუშაოთა კომპლექსურობიდან გამომდინარე, განვითარების ხედვა უნდა დამუშავდეს ერთი დოკუმენტის სახით, ორივე ტაქსონომიური დონისთვის, შესაბამისი პრიორიტეტების გათვალისწინებით.

განვითარების ხედვა გამიზნული და მიმართული უნდა იყოს როგორც ადგილობრივი მოქალაქეებისკენ, ისე გარე სამყაროსკენ. გამომდინარე აქედან, ხედვის განაცხადს უნდა ახასიათებდეს პოზიტიური, დამაჯერებელი ტონი. ის სხარტი და კონცენტრირებული უნდა იყოს, ზოგ შემთხვევაში სასურველია, მისი მოცულობა 50 სიტყვას არ აღემატებოდეს. ხედვის განაცხადი, გრამატიკულად, აწმყო დროში იწერება. მუნიციპალიტეტის განვითარების ტაქტიკა შეიძლება დროში იცვლებოდეს, მაგრამ, ხედვა, როგორც წესი - ერთგვარი შუქურის მსგავსად - სასურველია უცვლელი, ან ნაკლებად კორექტირებული რჩებოდეს. ხედვის განაცხადი, ერთდროულად, ამბიციურიც და რეალისტურიც უნდა იყოს.

ხედვაში გაცხადებული უნდა იყოს განვითარების ზოგადი (სტრატეგიული) მიზნები, რომლებიც განაპირობებს გარკვეულ პერიოდში შესასრულებელ, შედეგზე ორიენტირებულ ქმედებათა წყებას, რომელთა ეფექტიანობა იზომება საკვანძო ინდიკატორების მეშვეობით (ჭ5.4.2.1.1). როგორც წესი არჩევენ რამდენიმე სტრატეგიულ მიზანს - არაუმეტეს ხუთისა. ისინი არ უნდა იყოს სურვილთა ნუსხა,



პროექტების ჩამონათვალი ან დარგობრივი გეგმები. სტრატეგიული მიზნები იერარქიულია და უნდა დალაგდეს პრიორიტეტების მიხედვით, ვინაიდან არ არსებობს სრულიად ტოლ-სწორი პრიორიტეტები.

საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების მიხედვით, წარმატებული ხედვის განაცხადი ხასიათდება შედეგი ნიშნებით:

- **ლაკონურობა:** ადვილად დასამახსოვრებელი და გამეორებადი;
- **სიტყვა:** განსაზღვრავს განვითარების უმთავრეს (სტრატეგიულ) მიზანს;
- **ვადაზე დამოკიდებულება:** განსაზღვრავს დროით ჰორიზონტს, რომელშიც აღწერილია მისაღწევი მიზან(ები);
- **მომავალზე ორიენტირებულობა:** აღწერს განვითარებულ მომავალს და არა დღევანდელობას ან პროცესს;
- **სტაბილურობა:** გრძელვადიან პერსპექტივაში ხედვა არ უნდა იყოს დამოკიდებული ბაზრის და/ან ტექნოლოგიების ცვალებადობაზე;
- **გამოწვევითი:** არ უნდა შეიცავდეს მარტივად მისაღწევ და ჩასანაცვლებელ მიზნებს და/ან ღონისძიებებს;
- **ანოტაციურობა:** ზოგადი ტექსტი საკმარისი უნდა იყოს დაინტერესებული პირების საერთო ინტერესებისა და სტრატეგიული მიზნების გამოსახატად;
- **შთამაგონებელი:** უნდა იყოს დაინტერესებულ პირთა მამოტივირებელი და მათთვის საწადელი — ე. წ. წარმმართველი ხატი.

სიმოკლის მიუხედავად, განაცხადი როგორც წესი მუნიციპალიტეტის თემის მძლავრი გამაერთიანებელი იარაღია; ის იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ ერთმანეთს უკავშირებს დაინტერესებული მხარეების, ძირითადი „მოთამაშეების“ ძალისხმევებს — იმგვარად, რომ ისინი თავის საქმიანობაში იღწვიან ერთი მიმართულებით, მუნიციპალიტეტის სასიკეთოდ. შედარებით ხანგრძლივ პერიოდზე გათვლის მიუხედავად, ხედვის განაცხადმა მოკლევადიანი მიზანდასახული ქმედებებიც უნდა წაახალისოს.

5.4.3.2. სტრატეგიის განაცხადი

განვითარების სტრატეგია უნდა დამუშავდეს ორი დოკუმენტის სახით, ორივე ტაქსონომიური დონისთვის ცალ-ცალკე, გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად სტრატეგია: ზედა ტაქსონომიურ დონეზე მოიცავს მიზნებს, ამოცანებს, პერიოდს და ფინანსებს, ხოლო ქვედა ტაქსონომიურ დონეზე – პრიორიტეტებს და რიგითობას.

ზედა ტაქსონომიური დონის სტრატეგიის განაცხადს სასურველია ქონდეს შემდეგნაირი მატრიცის სახე.

მიზანი	ამოცანები	პერიოდი (თვე)	ფინანსები (ლ)	დარგი (სფერო)	აქტორი (პირი)
--------	-----------	------------------	------------------	------------------	------------------

ცხრილი 12. სტრატეგიის განაცხადის მატრიცა ზედა ტაქსონომიური დონისთვის.

ზედა ტაქსონომიური დონის სტრატეგიის განაცხადში მკაფიოდ უნდა იყოს მოცემული განვითარების ხედვის შესაბამისი სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, განვითარების სასურველი სურათის მისაღწევად საჭირო პერიოდი და ფინანსები. განვითარების სტრატეგია ასევე უნდა პასუხმობდეს ბათუმის ფუნქციის დივერსიფიკაციის კვლევის შედეგებს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს მუნიციპალიტეტმა სამუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

ზედა ტაქსონომიური დონის სტრატეგიის აუცილებლად გამოსაყოფა: „ახალი ბათუმის“ განაშენიანების და რეგულირების პრობლემატიკაზე საპასუხო გადაწყვეტები; წყლის ფრონტის, მეხუთე ფასადის, ესთეტიკური წყობის, ქალაქის კოლორისტიკის და ღამის განათების დაცვის/გაუმჯობესების პრობლემატიკაზე საპასუხო ღონისძიებები; საზოგადოებრივი სივრცეების გამოყენების პრობლემატიკაზე საპასუხო ღონისძიებები; და მათი კორელაცია განაშენიანების მართვის გეგმებთან და რეგლამენტებთან.



ქვედა ტაქსონომიური დონის სტრატეგიის განაცხადს სასურველია ქონდეს შემდეგნაირი მატრიცის სახე.

საბალანსო ერთეული	ტერიტორიის გამოყენების სახეობა	პრიორიტეტი	რიგითობა	აქტორი (პირი)
-------------------	--------------------------------	------------	----------	---------------

ცხრილი 13. სტრატეგიის განაცხადი ქვედა ტაქსონომიური დონისთვის.

ქვედა ტაქსონომიური დონის სტრატეგიაში აუცილებელია ტერიტორიათა გამოყენებისა და მათი სამშენებლო პოტენციალის ათვისების რიგითობის დადგენა, ⁷⁴ იმ პრიორიტეტების გათვალისწინებით, რაც საბოლოოდ შეჯერდება ყველა დაინტერესებულ მხარესთან. პრიორიტეტების დადგენისას, გასათვალისწინებელია გდგ წინამდებარე დავალებით გათვალისწინებული გეგმარებითი ერთეულები.

5.4.3.1. სიცოცხლისუნარიანობის შეფასება

სიცოცხლისუნარიანობის შეფასება გულისხმობს, შემოთავაზებული ხედვისა ან/და სტრატეგიის ალტერნატივების განხილვასა და ოპტიმალურის შერჩევას. ⁷⁵

მოცემული უნდა იყოს ქალაქის ცალკეული საბალანსო ერთეულების მიხედვით არსებული ინფრასტრუქტურის ნაკვლევი მონაცემების, მათი განვითარების/გაძლიერების შესაძლებლობებისა და განვითარების შეჯერებული ხედვისა და სტრატეგიის კორელაცია. გამოვლენილ უნდა იქნეს ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. შედეგები უნდა გაეცნოს ფართო საზოგადოებას და ამ გზით შეირჩეს განვითარების ხედვისა და სტრატეგიის ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ვარიანტი.

სიცოცხლისუნარიანობის შეფასების საფუძველზე მზადდება სკოპინგის ანგარიში, შესაბამის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

5.4.4. კონცეფციები (გეგმების მონახაზები) ⁷⁶

5.4.4.1. გეგმების მონახაზები

გეგმების მონახაზები ხარისხობრივად უნდა პასუხობდეს გეგმების შემუშავების წესის მე-10 მუხლის მოთხოვნებს. ამასთან, მათი მომზადების ფორმატი და მასშტაბები უნდა შეესაბამებოდეს საბაზისო რუკებისთვის გ5.4.2.1.2 დადგენილს.

გეგმების მონახაზები გრაფიკულად, სივრცული მონაცემების შესაბამისი პირობითი აღნიშვნებით საბაზისო რუკაზე დატანით, უნდა ასახავდეს:

- ზედა დონეზე შეჯერებული განვითარების ხედვისა და სტრატეგიის შესაბამისი სივრცითი განვითარების დარგობრივ მიმართულებებს და ღონისძიებების, კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.
- ქვედა დონეზე განვითარების ხედვისა და სტრატეგიის საფუძველზე გამოვლენილი და შეჯერებული: ტერიტორიათა კატეგორიებს, კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად.

ტექსტური ნაწილი სივრცითი დაგეგმარების ზედა ტაქსონომიური დონის დოკუმენტებისთვის აყალიბებს განვითარების პოლიტიკას, ხოლო ქვედა ტაქსონომიური დონეზე ადგენს განვითარების მართვის რეგლამენტს. ⁷⁷

⁷⁴ მაგ. ტერიტორიის მაქსიმალური სამშენებლო პოტენციალი არის

⁷⁵ რეფ. #05: მუხლი 6. 3.7.

⁷⁶ კოდექსის მთხელვით – „კონცეფცია“, თუმცა ის არ გულისხმობს „სივრცის განვითარების კონცეფციას“, არამედ გეგმის პირველად ვარა ანტს – მონახაზს (შდრ. საერთაშორისო პრაქტიკაში – Draft, გერმანულში – Entwurf).

⁷⁷ გეგმების შემუშავების წესი: მუხლი 11, პუნქტი 3.



სდგ მონახაზის ტექსტური ნაწილი (განვითარების პოლიტიკის მონახაზი) უნდა მომზადდეს ანგარიშის სახით (გ5.2.4) და წარმოადგენს გეგმის ძირითად ნაწილს. გენგეგმის მონახაზის ტექსტური ნაწილი (განაშენიანების მართვის რეგლამენტის მონახაზი) უნდა მომზადდეს გრაფიკული ნაწილის თანმხლებ ტექსტად, რომელიც დაიტანება იმავე პლანშეტზე, რაზეც გრაფიკული ნაწილი.

ორივე დონის გეგმის მონახაზის ტექსტური ნაწილი, ასევე მოცემული უნდა იყოს ეფექტური მონაბის შეფასების ანგარიშში (გ5.4.4.3).

პლანშეტზე ინფორმაციის განაწილებისას გასათვალისწინებელია შემდეგი მოთხოვნები:

- ძირითადი ნახაზი უნდა განთავსდეს ცენტრალურ ნაწილში, მარცხენა კიდიდან – შტამპამდე;
- შტამპი, პირობითი აღნიშვნებით და პროექტის რეკვიზიტებით, უნდა განთავსდეს მარჯვენა მხარეს;
- გენგეგმის შემთხვევაში – ტექსტური ნაწილი დაიტანება ძირითადი ნახაზზე, ნაპირებში იმგვარად, რომ არ დაფაროს გეგმარებითი ერთეული. საჭიროების შემთხვევაში, ტექსტის უკან ნახაზი იფარება თეთრი ფონით.

ისეთი დარგობრივი მიმართულებები, რომელთა განვითარებაც გამომდინარეობის დაგეგმვის შესაბამისი ტაქსონომიური დონის საერთო ამოცანებიდან და ინტეგრირებულად შეუძლებელია მათი სათანადოდ წარმოჩენა, ⁷⁸ უნდა მომზადდეს დარგობრივ გეგმის მონახაზებად, ძირითადი გეგმისგან გამოცალკევებით და დამოუკიდებელ პლანშეტზე (გრაფიკული და ტექსტური ნაწილებით ზედ), კოდექსის მე-6 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად. დარგობრივი ასპექტები უნდა გაიყოს ტაქსონომიური დონეების შესაბამისად: განვითარების ღონისძიებები უნდა გამოყოს სდგ-ს (მაგ. ტრანსპორტის განვითარება), ხოლო განაშენიანების მართვის რეჟიმები — გენგეგმას (მაგ. გამწვანებული ტერიტორიების დაცვა).

5.4.4.1.1. განვითარების პოლიტიკა

განვითარების პოლიტიკა (მონახაზი) მინიმუმ უნდა მოიცავდეს:

- განვითარების ხედვას (ყველაზე სიცოცხლისუნარიან ვარიანტს);
- განვითარების სტრატეგიას (ყველაზე სიცოცხლისუნარიან ვარიანტს);
- განვითარების დარგობრივ ღონისძიებებს.

5.4.4.1.2. განაშენიანების მართვის რეგლამენტი

განაშენიანების მართვის რეგლამენტი (მონახაზი) მინიმუმ უნდა მოიცავდეს:

- სტრატეგიის (პრიორიტეტები და რიგითობა) ყველაზე სიცოცხლისუნარიან ვარიანტს;
- საბალანსო ერთეულებისთვის დადგენილი ქალაქტერისტიკული მიზანების შესრულებებს; ⁷⁹
- განაშენიანების მართვის რეგლამენტისთვის გათვალისწინებულ სხვა საკითხებს, ⁸⁰ მათ შორის წამახალისებელი ზონირების დათქმებს, დარგობრივი კანონმდებლობის/გეგმების მოთხოვნებს, ესთეტიკული წყობის პარამეტრებს და სხვა საკითხებს, ტერიტორიის სპეციფიკიდან გამომდინარე.

5.4.4.2. ალტერნატიული გადაწყვეტები

⁷⁸ მაგ., ტრანსპორტის განვითარება, ლანდშაფტის დაცვა, რისკების მართვა, საინჟინრო ქსელების განვითარება და/ან სხვა დაგეგმვის საჭიროებიდან გამომდინარე.

⁷⁹ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, გეგმების შემუშავების წესის დანართ N8-დან შერჩული პარამეტრებისა და მაჩვენებელების მიხედვით.

⁸⁰ გეგმების შემუშავების წესი: მუხლი 2, პ. 1/3.



ალტერნატიული გადაწყვეტები უნდა შემუშავდეს პირველად ვერსიებში – საჯარო განხილვებისთვის, ხოლო კონსესუსის მიუღწევლობის შეთხვევაში გეგმის მონახაზის საბოლოო ვერსიაში უნდა დარჩეს მხოლოდ კრიტიკულად განსხვავებული ვარიანტები, რაზეც საბოლოო უნდა მომზადდეს სგშანგარიში.

5.4.4.3. ეფექტიანობის შეფასება

გეგმების მონახაზების ეფექტიანობის შეფასება მზადდება ანგარიშის სახით (§5.2.4) და მოიცავს:

- გეგმარებითი ერთეულების კვლევის შედეგებს, როგორც მონაცემთა მატრიცის, ისე ანალიზის ანგარიშების სახით;
- ტექსტურ ნაწილებს;
- შემოთავაზებული გადაწყვეტების აღწერას/განმარტებას, მათ შორის ალტერნატივების ურთიერთშედარებით ანალიზს.

ეფექტიანობის შეფასება წარმოებს თითოეული შემოთავაზებული ვარიანტისთვის ცალ-ცალკე, სადაც განხილული უნდა იყოს ტაქსონომიური დონის შესაბამისი საბალანსო ერთეულის მიხედვით არსებული ინფრასტრუქტურის ნაკვლევი მონაცემების, მათი განვითარების/გაძლიერების შესაძლებლობებისა და განვითარების ხედვისა და სტრატეგიის შეჯერებული ვარიანტის კორელაცია, ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. აგრეთვე, გამოვლენილ და შეჯერებულ იქნას დარგობრივი საკითხები და ამ გზით იქნას საბოლოოდ შეფასებული დაგეგმარების მიზანშეწონილობა და შემოთავაზებული ვარიანტის ეფექტიანობა.

ეფექტიანობის შეფასება საბოლოო სახით შეტანილ უნდა იქნეს გეგმების დამტკიცების აქტების პროექტების განმარტებით ბარათებში.



5.4.5. გეგმები

გეგმების შინაარსი და შემადგენლობა უნდა პასუხობდეს კოდექსის შესაბამისი მუხლების და გეგმების შემუშავების წესის IV თავის მოთხოვნებს. ამასთან, მათი მომზადების ფორმატი და მასშტაბები უნდა შეესაბამებოდეს მათსავე მონახაზებს (კონცეფციებს). აღტერნატიულ ვარიანტებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება სგშ უფლებამოსილი ორგანოების მიერ სტრატეგიული დოკუმენტის პროექტან ⁸¹ დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, ხოლო სდგ-თვის დამატებით — მერიის მიერ შესრულებული საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

ორივე დონის გეგმის ტექსტური ნაწილი უნდა წარმოადგენდეს შესაბამისი გეგმის მონახის ტექსტური ნაწილის შევსებულ და/ან დაზუსტებულ ვერსიას (§5.4.4.1). ამასთან შევსება და/ან დაზუსტებები უნდა წარმოებდეს დაგეგმვაზე უფლებამოსილი ორგანოსთან შეთანხმებით და/ან საკრებულოს მიერ კონცეფციის დამტკიცების დროს გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, რაც არ უნდა იწვევდეს კონცეფციის არსებით ცვლილებას.

ორივე დონის გეგმის მონახაზის შედგენის ეტაპზე, ცალკე გამოყოფილი დარგობრივი ასპექტებისთვის (§5.4.4) უნდა მომზადდეს დამოუკიდებელი გეგმები, მათივე მონახაზების დაცვით და დამტკიცდეს ამავე დონის გეგმებთან ერთად, კოდექსის მე-6 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.4.6. დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა

5.4.6.1. საინფორმაციო სისტემის ადგილი და როლი დაგეგმვაში

საინფორმაციო სისტემის შემუშავება განსაზღვრულია კოდექსით. საინფორმაციო სისტემის მიზანია სივრცის დაგეგმვარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის განხორციელებისათვის მაქსიმალურად სრული და ობიექტური საინფორმაციო მონაცემების შექმნა, რომელიც იმართება ქვეყნის და მუნიციპალიტეტის დონეებზე, და შეიძლება ემყარებოდეს ამ სფეროში არსებულ სხვადასხვა საინფორმაციო ბაზას. ⁸²

ვინაიდან, კოდექსით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი „სივრცის დაგეგმვარების საინფორმაციო სისტემის შესახებ“ მიღებულ უნდა იქნეს 2022 წლის 1 იანვრამდე და შესყიდვის მომენტისთვის არ არის მიღებული,

დამკვიდრებული გამოცდილების მიხედვით, საინფორმაციო სისტემა მოიცავს:

- სივრცითი განვითარების პოლიტიკის და/ან განაშენიანების მართვის რეგლამენტების მონაცემებს;
- სოციალური, სატრანსპორტო, საინჟინრო და საწარმოო ინფრასტრუქტურის მონაცემებს;
- შენობა-ნაგებობების განთავსებისა და მდგომარეობის მონაცემებს;
- ტერიტორიების ეკოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური და სეისმური მდგომარეობის მონაცემებს.

აგრეთვე სხვა მონაცემებს, რომლებიც გამოიყენება დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავებისათვის, სივრცით განვითარებაში და/ან განაშენიანების მართვაში. ⁸³

5.4.6.2. მონაცემთა ბაზის ფორმატი, სტრუქტურა და პროგრამული უზრუნველყოფა

საინფორმაციო სისტემის შედგენისა და წარმოების წესი უნდა განისაზღვროს დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებებთან შეთანხმებით საერთაშორისო გამოცდილების კვლევის საფუძველზე;

⁸¹ იგულისხმება გეგმა: სდგ და გეგმება.

⁸² რეფ. #02: მუხლი 14.

⁸³ რეფ. #02: მუხლი 14.



კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, კადასტრის სტანდარტული სტრუქტურა უნდა მოიცავდეს საყრდენი ინფორმაციის ფენებს, ნებართვის გაცემის მართვის ფენებს და დაგეგმილი განვითარების ფენებს.

კადასტრის პროგრამული უზრუნველყოფა ArcGIS 10 ან სხვა თავსებადი ალტერნატივა (სასურველია იყო თავისუფალი ლიცენზიის მქონე).

ჩასაბარებელ გეო-ინფორმაციულ მასალებთან დაკავშირებული მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები შემდეგია:

- გეო-ინფორმაციული მასალები უნდა შეიქმნას და დამუშავდეს ArcGIS 10 ვერსიის პერსონალურ გეომონაცემთა ბაზის ფორმატში.
- პერსონალური გეომონაცემთა ბაზა უნდა იყოს WGS 84\UTM 38N საქართველოს სახელმწიფო საკოორდინაციო სისტემაში.
- გეო-ინფორმაციული მასალების (იგულისხმება გარკვეული ფენები) საბოლოო ვერსია უნდა იქნეს შემოწმებული ტოპოლოგიურ შეცდომებზე (ტოპოლოგიური სიზუსტე 0.025 მ).

5.5. საპროექტო მომსახურების ვადა

საპროექტო მომსახურების ყველა ეტაპის ერთად აღებული ვადა ხელშეკრულების დადებიდან, საპროექტო მომსახურების შედეგის მიღება-ჩაბარების ვადების გარეშე, არ უნდა აღემატებოდეს 405 დღეს. საპროექტო მომსახურების შედეგის მიწოდების, მათ შორის შუალედური დოკუმენტების მიწოდების ეტაპობრიობა და ვადები მოცემულია ქვემოთ.

იმის გათვალისწინებით, რომ მომსახურების შესყიდვა დაკავშირებულია დასამუშავებელი ინფორმაციის დიდ მოცულობასთან და კომპლექსურ სამუშაოებთან, აგრეთვე თუ კვლევის ეტაპზე გამოვლინდება, რომ გართულებულია სამუშაოთა შესრულებისთვის საჭირო გარემოებათა და/ან დოკუმენტაციის ცალკეული ნაწილების დაზუსტება-შეთანხმება, რის გამოც მიმწოდებელი ვერ წარადგენს სრულყოფილ დოკუმენტაციას, დასაშვებია სამუშაოების წარმოების ვადის გახანგრძლივება, შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებით, რაც დადგენილი წესით უნდა აისახოს ხელშეკრულებაში.

ქვემოთ მოცემულია მომსახურების შესყიდვის მიწოდების კალენდარული გეგმა. მასში არ ირის მოცემული შემსყიდველის მიერ დოკუმენტაციის განხილვისა და მოწონება-მიღება-ჩაბარების ვადები, რომელიც განისაზღვრება შესყიდვის ხელშეკრულებით.

5.5.1. კალენდარული გრაფიკი

N	ეტაპი	სამუშაოების ვადა ⁸⁴		შედეგი	მოთხოვნები
		დაწყება	დასრულება		
1.	ხელშეკრულების გაფორმება	კონკურსის დასრულებიდან არაუმეტეს 15 სამუშაო დღე	არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა	ხელშეკრულება დადებულია	§ 4
2.	გეგმარებითი ერთეულების კვლევა	195 დღე		§ 5.2.2.1.1-1	§ 5.4.2
2.1.	საბაზისო მონაცემები	ხელშეკრულების დადებიდან	არაუმეტეს 90 დღისა	§ 5.2.2.1.1-1.1	§ 5.4.2.1

⁸⁴ არ იანგარიშება მიღება-ჩაბარების ვადები, რაც არ შეიძლება გაგრძელდეს 55 სამუშაო დღეზე მეტ ხანს, და აგრეთვე სგშ პროცედურის ვადები, რაც დადგენილია კანონმდებლობით.



		მომდევნო დღე			
2.2.	ინდიკატორების სისტემის სამუშაო ვერსია	ხელშეკრულების დადებიდან მომდევნო დღე	არაუმეტეს 90 დღისა	§ 5.2.2.1.1-1.2	§ 5.4.2.1.1
2.1.-2.2. ეტაპების მიღება-ჩაბარება					
2.3.	ტერიტორიების განვითარების შეზღუდვის დოკუმენტი	2.1.-2.2. ეტაპ(ების მიღება- ჩაბარებიდან მომდევნო დღე	არაუმეტეს 15 დღისა	§ 5.2.2.1.1-1.3	§ 5.4.2.2
2.3. ეტაპის მიღება-ჩაბარება					
2.4.	განაშენიანების მართვის რეგლამენტში წამახალისებელი ზონირების გამოყენების შესაძლებლობების კვლევა	2.3. ეტაპ(ების მიღება- ჩაბარებიდან მომდევნო დღე	არაუმეტეს 15 დღისა	§ 5.2.2.1.1-1.5	§ 5.4.2.4
2.5.	დაგეგმვის საინფორმაციო სისტემის შედგენისა და წარმოების წესის შემუშავებისთვის საჭირო კვლევა	2.3. ეტაპ(ების მიღება- ჩაბარებიდან მომდევნო დღე	არაუმეტეს 15 დღისა	§ 5.2.2.1.1-1.6	§ 5.4.2.5
2.4.-2.5. ეტაპების მიღება-ჩაბარება					
2.6.	ფუნქციის დივერსიფიკაციის კვლევა	2.1.-2.2. ეტაპ(ების მიღება- ჩაბარებიდან მომდევნო დღე	არაუმეტეს 60 დღისა	§ 5.2.2.1.1-1.4	§ 5.4.2.3
2.6. ეტაპის მიღება-ჩაბარება					
3.	განვითარების ხედვა, სტრატეგია და სიცოცხლისუნარიანობ ის შეფასება	სულ 60 დღე		§ 5.2.2.1.1-2	§ 5.4.3
3.1.	სამუშაო ვერსიები და ინდიკატორების სისტემის საბოლოო ვერსია	2.6. ეტაპ(ების მიღება- ჩაბარებიდან მომდევნო დღე	არაუმეტეს 30 დღისა	§ 5.2.2.1.1-2	§ 5.4.3
3.1. ეტაპის მიღება-ჩაბარება					
3.2.	სიცოცხლისუნარიანობ ის შეფასება და სკოპინგის ანგარიშ(ები)	3.1. ეტაპ(ების მიღება- ჩაბარებიდან მომდევნო დღე	არაუმეტეს 30 დღისა	§ 5.2.2.1.1-2, 3	§ 5.4.3
3.2. ეტაპის მიღება-ჩაბარება					
4.	გეგმების მონახაზები (კონცეფციები)	სულ 60 დღე		§ 5.2.2.1.1-4	§ 5.4.4
4.1.	სამუშაო ვერსიები და სგშ ანგარიშ(ები)	3.2. ეტაპ(ების მიღება- ჩაბარებიდან მომდევნო დღე	არაუმეტეს 30 დღისა	§ 5.2.2.1.1-4	§ 5.4.4



4.1. ეტაპის მიღება-ჩაბარება					
4.2.	შეჯერებული ვერსიები	4.1. ეტაპის მიღება-ჩაბარებიდან მომდევნო დღე	არაუმეტეს 30 დღისა	§ 5.2.2.1.1-4	§ 5.4.4
4.2. ეტაპის მიღება-ჩაბარება					
5.	გეგმები	სულ 60 დღე		§ 5.2.2.1-1), 2)	§ 5.4.5
5.1.	სამუშაო ვერსიები	4.2. ეტაპ(ებ)ის მიღება-ჩაბარებიდან მომდევნო დღე	არაუმეტეს 30 დღისა	§ 5.2.2.1-1), 2)	§ 5.4.5
5.1. ეტაპის მიღება-ჩაბარება					
5.2.	შეჯერებული ვერსიები	5.1. ეტაპ(ებ)ის მიღება-ჩაბარებიდან მომდევნო დღე	არაუმეტეს 30 დღისა	§ 5.2.2.1-1), 2)	§ 5.4.5
5.2. ეტაპის მიღება-ჩაბარება					
6.	დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა	სულ 30 დღე		§ 5.2.2.1-3)	§ 5.4.6
6.1.	სამუშაო ვერსია	5.2. ეტაპის მიღება-ჩაბარებიდან მომდევნო დღე	არაუმეტეს 15 დღისა	§ 5.2.2.1-3)	§ 5.4.6
6.1. ეტაპის მიღება-ჩაბარება					
6.2.	შეჯერებული ვერსია	6.1. ეტაპის მიღება-ჩაბარებიდან მომდევნო დღე	არაუმეტეს 15 დღისა	§ 5.2.2.1-3)	§ 5.4.6
6.2. ეტაპის მიღება-ჩაბარება					

ცხრილი 14. მომსახურების მიწოდების ვადების კალენდარული გრაფიკის და სხვა პირობების სინთეზური ცხრილი



6. დანართები

დანართი 1: ბათუმის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმა (ბმული გვერდზე)

დანართი 2: მოქმედი მგგ წინასაპროექტო კვლევის ანგარიში (ბმული გვერდზე)

დანართი 3: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალვა (№33, 29.09.2017წ; №43, 26.12.2017წ) (ბმული გვერდზე)

დანართი 4: ბათუმის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრებისა და გეგმარებითი ერთეულების საზღვრების შეიპ ფაილები (ბმული გვერდზე)

განმარტებითი ბარათი პროექტის
სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე” ტექნიკური დავალების მოწონების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

- ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ;
ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

მიზეზი: „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე” ტექნიკური დავალების მოწონების შესახებ განკარგულების მიღება.

მიზანი: „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე” ტექნიკური დავალების მოწონების შესახებ განკარგულების მიღება.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე” ტექნიკური დავალების მოწონების შესახებ განკარგულების მიღება. პროექტის საბოლოო მიზანია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის” კოდექსის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის დამტკიცება. ამ მიზნით უპირველესად, ტექნიკური დავალების, რომელიც უკვე მორგებულია ახალ სამშენებლო კანონმდებლობას, შეთანხმება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

- ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: გამოწვევს ხარჯებს.
ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

კონსულტაციები წარმოებდა და ტექნიკური დავალება მომზადებული იქნა ურბანისტის ვახტანგ ჯოხაძის მიერ.

ე) პროექტის ავტორი:


ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქებანვითარებისა და ურბანული - პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმვარების
სამსახურის უფროსი



მირიან მეტრეველი